შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№10 (10.165)

5-12 აპრილი, 2025 წელი

ფასი: 60 თეთრი

კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია გრძელდება

ქალაქ დედოფლისწყაროში, ჰერეთის ქუჩაზე მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების ფასადების რეაბილიტაცია მიმდინარეობს. კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული, გიორგი ალადაშვილი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერთან, ნიკოლოზ ჯანიაშვილთან და საკრებულოს თავმჯდომარე, ნუგზარ პაპიაშვილთან ერთად, 29 მარტს კორპუსების რეაბილიტაციის პროცესს ადგილზე გაეცნო.

პროექტის ფარგლებში რეაბილიტაცია ჩაუტარდება ხუთი საცხოვრებელი კორპუსის ფასადს და განხორციელდება შენობების გამაგრებითი სამუშაოები. პროექტის ჯამური ღირებულება 2 533 000 ლარია. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ფინანსდება.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი: „აივნების გამაგრება და მოაჯირების განახლება ხდება, ფასადები მთლიანად იცვლება. მიკრორაიონის შიდა ეზო მთლიანად კეთილმოწყობილია. მოეწყო მოედანი და სულ მალე საოცრად გალამაზებულ სივრცეს მივიღებთ“.

სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყების გამო მიკრორაიონის მაცხოვრებლები კმაყოფილებას გამოხატავენ.

„ბოლო წლებში ირაკლი ღარიბაშვილის ინიციატივით დედოფლისწყაროში მდებარე ყველა მრავალსართულიანი კორპუსის ფასადი გალამაზდა და ზედ განათებებიც დამონტაჟდა, საუცხოო გახდა დედოფლისწყარო. ძალიან შეცვლილია და განვითარებულ ქალაქს დაემსგავსა. მხოლოდ მიკრორაიონის კორპუსები იყო შეუღებავი და მოძველებული. საშინელი შესახედავი იყო, არადა, მოგეხსენებათ საკმაოდ მჭიდროდ დასახლებულია ეს ადგილი. მას შემდეგ, რაც პირველი საჯარო სკოლის ბავშვებიც ხორნაბუჯის სკოლაში სწავლობენ, ამან ეს ტერიტორია ბევრად უფრო დატვირთული გახადა. მითუმეტეს ბოლო წლებში სწავლა საღამოს ცვლაშიც მიმდინარეობს და ამის გამო ამ ტერიტორიაზე მთელი დღის განმავლობაში ხალხმრავლობაა. ეს კორპუსები კი მოუვლელი და ცუდი შესახედავი იყო. ძალიან გაგვიხარდა, როცა მერი გვესტუმრა და ამ პროექტის პრეზენტაცია შედგა. დაუჯერებლად გვეჩვენა, მაგრამ რამდენიმე თვეა სამუშაოები აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. იყო ხარვეზებიც, პატარა შეფერხებებიც, მაგრამ მთავარი ისაა, რომ საქმე დაიძრა და პრობლემის გადაჭრა დაიწყეს. რამდენიმე თვეში დასრულდება და გალამაზებული შენობები დაამშვენებს ჩვენს ქალაქს. დიდი მადლობა მერიას ამ სამუშაოებისთვის და ჩვენი პრობლემის გათვალისწინებისთვის,“ – ამბობენ კორპუსების მაცხოვრებლები.

✍ *ილია მარტყოფლიშვილი*

ქარსაფარი ზოლი — მოსავლის დაცვა და დამატებითი ბენეფიტი ფერმერებისთვის

ქარსაფარი ზოლების გაშენების ისტორია ასეულ წლებს ითვლის. 21-ე საუკუნეში კლიმატის გლობალური ცვლილების და გაუდაბნოების ფონზე, მათი არსებობა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ქარსაფარი ზოლების მიმდებარედ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა იზრდებოდა, ხოლო ნიადაგის ეროზია მცირდებოდა. 90-იანი წლების ბოლოს, როცა ქვეყანაში არც ბუნებრივი აირი იყო და არც ელექტროენერგია, მოსახლეობამ ქარსაფარი ზოლების მასობრივი ჩეხა დაიწყო. ამ მიწაზე კი, როგორც ფერმერები აცხადებენ, მოსავლიანობა შემცირდა.

4 აპრილს შირაქის ველზე არსებულ ქარსაფარ ზოლში მერიის ზედამხედველობის სამსახურმა გამოავლინა ხის მოჭრის ფაქტი. დამნაშავე მწყემსი დაჯარიმდა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის შესაბამისად 1000 ლარით. დედოფლისწყაროს მერიაში აცხადებენ, რომ კანონდამრღვევთა მიმართ მკაცრი ზომები გატარდება

დღეისათვის, ხშირია შემთხვევები, როდესაც ადგილობრივი ფერმერები ცეცხლს სასოფლო-სამეურნეო სავარგულის გასუფთავების მიზნით ანთებენ, შემდეგ კი მის მართვას ვეღარ ახერხებენ და ხანძარი ქარსაფარ ზოლსაც ანადგურებს. ქარსაფარი ზოლების გავლენით მატულობს სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობა. მაგალითად, ხორბლის მოსავლიანობა, სხვადასხვა კლიმატური პირობების შესაბამისად, დაცულ ფართობებზე, დაუცველთან შედარებით, 20-დან 45 %-მდე იზრდება.

ქარსაფარი ზოლების აღდგენა დედოფლისწყაროდან დაიწყება, ამის შესახებ მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა დედოფლისწყაროელ ფერმერებთან შეხვედრისას განაცხადა. სააგენტოს წარმომადგენლებმა 1 აპრილს დედოფლისწყაროელ ფერმერებს ქარსაფარი ზოლების აღდგენის ახალი პროექტი გააცნეს და მათი მოსაზრებები და შენიშვნები მოისმინეს. სააგენტოს წარმომადგენლებთან შეხვედრას დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი მოადგილეებთან და რწმუნებულებთან ერთად ესწრებოდა.

ნიკოლოზ ჯანიაშვილი, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერი: „ქარსაფარი ზოლების მნიშვნელობა თქვენზე კარგად არავინ იცის. თქვენ, ვისაც შეხება გაქვთ ნაკვეთებთან, როგორი მოსავალი მოდიოდა მაშინ, როცა ქარსაფარი ზოლი გაშენებული იყო და რა მდგომარეობაა ახლა, როცა მათი დიდი ნაწილი აღარ არსებობს. რამდენიმე წლის წინ, GIZ-მა გააშენა ქარსაფარი ზოლი, მაგრამ მისი დაცვა ვერ უზრუნველყო და პროექტის დასრულების შემდეგ გაშენებული ქარსაფარი ზოლის დიდი ნაწილი განადგურდა - ვიღაცამ ნაკვეთი გადაწვა, ვიღაცამ საქონელი შეუშვა...ფაქტი ერთია - მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გაზრდისთვის

/დასასრული მეორე გვერდზე/

მერის ერთი დღე სოფელ ფიროსმანში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის მიერ ინიცირებული პროგრამა „ერთი დღე სოფელში“ კვლავაც გრძელდება. პროგრამის ფარგლებში ნიკოლოზ ჯანიაშვილი სოფელ ფიროსმანს ეწვია.

დედოფლისწყაროს მერი ფიროსმანში მერის წარმომადგენელთან, ვალიკო აბაშიძესთან ერთად ადგილობრივ მოსახლეობას შეხვდა და საჭიროებების შესახებ ინფორმაცია პირადად მოისმინა. ასევე მერი სოფლის საჯარო სკოლას და საბავშვო ბაგა-ბაღს ესტუმრა და არსებულ პირობებს და სააღმზრდელო პროცესს გაეცნო.

„ძალიან კარგი შეხვედრა იყო, პედაგოგებს ცალკე შეგვხვდა და ჩვენთვის საინტერესო ყველა საკითხზე ვისაუბრეთ. რა თქმა უნდა, საუბარი შეეხო ფიროსმანის საჯარო სკოლის შენობის რეაბილიტაციის საკითხს. დედოფლისწყაროში ბევრი სკოლა ძირეულად განახლდა და ჩვენც დავაყენეთ საკითხი, რომ ჩვენი სკოლაც რეაბილიტაციას საჭიროებს. საკლასო ოთახებში არ არის ელექტროენერგია, რესურსები, რაც სასწავლო პროცესის მრავალფეროვნებაში ხელს გვიშლის. მერი დაგვპირდა, რომ საზაფხულო არდადეგების პერიოდში ამ შენობის საფუძვლიანი რეაბილიტაცია დაიწყება. შენობა მყარია, ამიტომ მისი დაშლის და ახლის აშენების აუცილებლობა არ დგას, მაგრამ რეაბილიტაცია ნამდვილად საჭიროა. ახალი სკოლა ყველა პრობლემას აღმოფხვრის, გარდა ადამიანური რესურსისა. ამჟამად სკოლაში არაა პედაგოგების დეფიციტი, მაგრამ ალბათ დროთა განმავლობაში ეს პრობლემაც დადგება, რადგან შორსაა სოფელი და საჭირო პედაგოგების ჩამოყვანა ჭირს,“ – ამბობს პედაგოგი ლენა ბერიძე.

ნიკოლოზ ჯანიაშვილმა ფიროსმანში შიდა საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მოინახულა და აღნიშნა, რომ ეტაპობრივად ყველა ქუჩის საავტომობილო გზის მოასფალტება მოხდება.

„ერთი დღე სოფელში“ მომავალშიც აქტიურ რეჟიმში გაგრძელდება. პროექტის ფარგლებში ნიკოლოზ ჯანიაშვილი ეტაპობრივად ყველა სოფელს ეწვევა.

✍ ***ილია მარტყოფლიშვილი***

ქარსაფარი ზოლი- მოსავლის დაცვა და დამატებითი ბენეფიტი ფერმერებისთვის

/პირველი გვერდიდან/

აუცილებელია ქარსაფარი ზოლების აღდგენა. წინააღმდეგ შემთხვევაში მინის ხარისხიც გაუარესდება და მოსავლიანობაც შემცირდება. როდესაც ვსაუბრობთ თაგვის ანდა სხვა მავნე მღრღნელის გავრცელებაზე, არავინ ფიქრობს, რომ ქარსაფარი ზოლების გაშენების შემთხვევაში, ბუნებრივად მოხდება იმ ფრინველების მოზიდვა, რომლებიც მღრღნელებით იკვებებიან. ბუნებრივი ბალანსის აღდგენა დაგვეხმარება მინის ხარისხის გაუმჯობესებაშიც და მოსავლიანობის გაზრდაშიც. ამიტომ, დღევანდელი შეხვედრის მიზანია, ქარსაფარი ზოლების გაშენების ისეთი გზა გამოვნახოთ, თქვენთან, ფერმერებთან ერთად, რომელიც ნამდვილად გაამართლებს“.

როგორი უნდა იყოს ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროექტი, რომ გაამართლოს? ამის შესახებ მოსახლეობას **მინის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს** მოსაზრება გააცნო სააგენტოს თავმჯდომარემ **გიორგი მიშელაძემ**. მან განმარტა, რომ „ახალი პროექტის თანახმად, სახელმწიფოსთან ერთად თანამონაწილეობაში უნდა შევიდეს ის ფერმერიც, რომლის მომიჯნავედაც მოხდება ქარსაფარი ზოლის აღდგენა. სახელმწიფო უზრუნველყოფს ფერმერებს ნერგებით, ხოლო ნერგების გახარებასა და დაცვაზე პასუხისმგებლობა ფერმერმა უნდა აიღოს. რაც შეეხება ქარსაფარ ზოლში გასაშენებელი ნერგის ჯიშებს - რა თქმა უნდა, გათვალისწინებულია დედოფლისწყაროს კლიმატზე მორგებული ჯიშები. მათ შორისაა ნაყოფის მომცემი ხეხილიც“. როგორც გიორგი მიშელაძემ აღნიშნა, ეს იქნება დამატებითი ბენეფიტი ფერმერებისთვის, რომლებიც ხეხილის ბაღების გაშენების შედეგად დამატებით შემოსავალს მიიღებენ.

ზემო მაჩხაანელი ფერმერები შეხვედრის შემდეგ ამბობდნენ, რომ პროექტი კარგია, თუმცა, როგორ მოხდება ამ იდეის ხორცშესხმა ისე, რომ ის რეალობად იქცეს, ჯერ-ჯერობით გზას ვერ ხედავენ. „მთავარია, გათვალისწინებული იყოს საჭირო ბერკეტი გაშენებული ქარსაფარი ზოლის დასაცავად. ხშირია შემთხვევები, როდესაც ნერგებს საქონელი ანადგურებს. დაზარალებული ფერმერების დაცვის მექანიზმი კი არ არსებობს. ადრე, კომუნისტების დროს, მეველე ჰყავდა კოლმეურნეობას, რომელიც აკონტროლებდა მინდვრებში არსებულ სიტუაციას, დღეს ფერმერი ვერ უზრუნველყოფს საკუთარი ნაკვეთის დაცვას, ამიტომ გაშენებული ხეხილის ბაღის მოვლაც მეტ პრობლემას წარმოშობს“-განაცხადეს გაზეთ „შირაქთან“ ზემო მაჩხაანელმა ფერმერებმა. შეხვედრაზე საუბარი იყო ელექტრონული მწყემსის დანერგვის ინსტიტუტზე. ბევრმა აღნიშნა, რომ შესაძლოა, ეს ძვირი სიამოვნებაა, მაგრამ თუ ნაკვეთისა და გაშენებული ქარსაფარი ზოლის დაცვა გარანტირებული იქნება, მაშინ ღირს ელექტრონული მწყემსის „დაქირავებაც“. ფერმერები აცხადებენ, რომ იმ მწყემსებისთვის, რომლებიც ქარსაფარ ზოლებში ხეებს ჩეხავენ ან საქონელს უშვებენ, კანონი უნდა გამკაცრდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ყველა პროექტი აზრს დაკარგავს.

ზემო მაჩხაანის შემდეგ შეხვედრა გაიმართა ქალაქ დედოფლისწყაროში, რომელმაც დისკუსიის სახე მიიღო. ფერმერთა დიდმა ნაწილმა აღნიშნა, რომ მათ მარცვლეულის წარმოება იციან, მეხილეობა კი ცალკე დარგია და მას სხვა ცოდნა და გამოცდილება სჭირდება.

ზვიად ბიკაშვილი, ფერმერი: „მე სიამოვნებით გადავუხდი თანხას ადამიანთა ჯგუფს, ვინც ქარსაფარი ზოლების მოვლისა და დაცვის პასუხისმგებლობას აიღებს. მე არც საკმარისი გამოცდილება მაქვს და არც დრო, რომ ამ საქმეს შევეჭიდო. ვაცნობიერებ რა ქარსაფარი ზოლების მნიშვნელობას, სიამოვნებით დავუდგები გვერდში იმ ადამიანებს, რომლებიც ჩემს მომიჯნავედ ქარსაფარი ზოლის აღდგენის ინიციატივას საკუთარ თავზე აიღებენ“.

ვაჟა გონაშვილი, ფერმერი: „ჩემი ნაკვეთი ტარიბანაში მდებარეობს. მოგეხსენებათ, ეს ტერიტორია ურწყავი ზონაა, აქ მხოლოდ ნუში ხარობს. მას კი სპეციფიკური მოვლა-პატრონობა სჭირდება. ხეხილის ბაღის გაშენებას ცოდნა სჭირდება, ის ცალკე მეცნიერებაა და მასთან შეჭიდება გამიჭირდება. ჩემს ნაკვეთთანაა ცხვრის გადასარეკი ტრასა. ამას იმიტომ ვამბობ, რომ სწორედ ცხვარია, ქარსაფარი ზოლების მტერი. ეს ჩემი ნაკვეთის კიდევ ერთი გამოწვევაა. მეც მზად ვარ, ქარსაფარი ზოლის აღდგენას ვინც მოისურვებს, ყველანაირად დავუდგე მხარში და ხელი შევუწყო, მაგრამ ამ საქმეს საკუთარ თავზე ვერ ავიღებ“.

„ქარსაფარი ზოლების აღდგენის პროექტი წარმატებული იქნება, თუ რამდენიმე ფერმერი გაერთიანდება და კოოპერატივს შექმნის. ამ შემთხვევაში გაიოლდება პრობლემებთან ბრძოლაც და შემდგომში, კოოპერაციული გაერთიანებებისთვის ახალ-ახალი პროგრამების განხორციელებაც, რომელსაც სახელმწიფო შესთავაზებს აგრარულ სექტორში დასაქმებულ ადამიანებს“- განაცხადა შეხვედრაზე მინის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელმა გიორგი მიშელაძემ. ეს წინადადება მისაღები აღმოჩნდა ფერმერებისთვის.

როგორც შეხვედრაზე აღინიშნა, პროექტის დაწყების შემდეგ შეიქმნება ახალი სერვისი, რომელიც ადგილობრივ მოსახლეობასაც დაასაქმებს და ქარსაფარი ზოლების აღდგენა-მოვლაზეც იზრუნებს. მანამდე კი პროექტის დახვეწა ფერმერების მოსაზრებების გათვალისწინებით მოხდება. პროექტის კიდევ ერთი დათქმა, რაც ფერმერების ინტერესებს მოემსახურება, არის ის, რომ სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ქარსაფარი ზოლები, მისი მოვლა-პატრონობის შემთხვევაში, 20-წლიანი იჯარით, სიმბოლურ ფასად, გადაეცემა პირს, რომელიც მის აღდგენას უზრუნველყოფს.

✍**ინგა შიოლაშვილი**

ქარსაფარი ზოლების გაშენება იწყება

პარლამენტმა საგაზაფხულო სესიის პლენარულ სხდომაზე მხარი დაუჭირა „ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების პროექტს, რომელიც ითვალისწინებს ინვენტარიზაციის პროცესის ვადის გახანგრძლივებას 2027 წლის 1 იანვრამდე. ცვლილების პროექტი საქართველოს პარლამენტში გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილე ნინო თანდილაშვილმა წარადგინა.

მინისტრის პირველმა მოადგილემ ხაზი გაუსვა, ინვენტარიზაციის პარალელურად, ქარსაფარი ზოლების აღდგენა/გაშენების პროცესის დაწყების მნიშვნელობას. ის აღნიშნავს, რომ პირველ ეტაპზე ქარსაფარი ზოლების გაშენება დაგეგმილია დედოფლისწყაროსა და საგარეჯოში.

„მიწის მდგრადი მართვისა და მიწათსარგებლობის მონიტორინგის ეროვნულ სააგენტოს აქტიური კომუნიკაცია აქვს ადგილობრივ მუნიციპალიტეტებთან და ფერმერებთან. პირველ ეტაპზე დაგეგმილი გვაქვს საგარეჯოსა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე აღდგენითი სამუშაოების დაწყება. საუბარია, დაახლოებით 32 ჰექტარ ტერიტორიაზე. მოგეხსენებათ, აღნიშნული მუნიციპალიტეტები სასოფლო-სამეურნეო კუთხით საკმაოდ დატვირთული ტერიტორიებია და ნიადაგის დაცვის თვალსაზრისით ქარსაფრის გაშენებას დიდი მნიშვნელობა აქვს“, – განაცხადა ნინო თანდილაშვილმა.

ქარსაფარი ზოლების განაშენება დედოფლისწყაროში 15 წელზე მეტია მიმდინარეობს და სოლიდური თანხებიც იხარჯება, თუმცა, პერიოდულად უკონტროლო ხანძრების გამო ნარგავები ხშირად ნადგურდება.

შეგახსენებთ, ქარსაფარი (მინდორდაცვითი) ზოლების ინვენტარიზაციის სახელმწიფო პროგრამა 2021 წელს დაიწყო; ამ ეტაპისთვის, ინვენტარიზაცია ჩატარებულია 6675.53 ჰექტარ ტერიტორიაზე 12 მუნიციპალიტეტში, მათ შორის დედოფლისწყაროში. ***შირაქი***

მმართველი პარტია ზემო მაჩხაანელ ქალბატონებს შეხვდა

პარტია „ქართული ოცნების“ დედოფლისწყაროს ქალთა ორგანიზაციის ინიციატივით სოფელ ზემო მაჩხაანში შეხვედრა გაიმართა. პარტიის წევრებთან ერთად სოფელ ზემო მაჩხაანში იმყოფებოდა დედოფლისწყაროს ორგანიზაციის თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილიც. ისინი ადგილობრივ ქალბატონებს შეხვდნენ და სხვადასხვა საკითხებზე ისაუბრეს.

„ამჯერად მათი საჭიროებები, სურვილები და ხედვები განვიხილეთ. ძალიან საინტერესო და ნაყოფიერი შეხვედრა გამოგვივიდა, ასეთი შეხვედრები კიდევ იგეგმება,“ - აღნიშნა ჯანიაშვილმა.

გაზეთი „შირაქი“ შეხვედრის მონაწილე ქალბატონებს გაესაუბრა.

ნეჭნა ჩუბინიძე: „ძალიან დროული და კარგი შეხვედრა იყო. მაცხოვრებლებმა პირადი და სოფლის პრობლემები დააყენეს, საბოლოო ჯამში ძალზე ნაყოფიერი დღე გამოვიდა. რაც უფრო ხშირად გაიმართება ასეთი შეხვედრები, უმჯობესია. ჩემი აზრით, ხშირად უნდა იყოს ასეთი შეხვედრები, რათა ხელისუფლებამ და სოფლის მოსახლეობამ ინფორმაცია გაცვალოს. წყალმომარაგების პრობლემა საერთოდ არ დასმულა, რადგან ორი წელია მთლიანად გადაიჭრა წყლის პრობლემა. მოგვარებულია ქსელიც და უწყვეტი მომარაგება გვაქვს. ზაფხულშიც კი არ დაგვჭირდა გრაფიკი. მხოლოდ მაშინ გვაქვს შეზღუდვა, როცა რეზერვუარს რეცხავენ, ან რაიმე დაზიანებაა, დანარჩენ შემთხვევაში მუდმივი წყალი გვაქვს. ყველა ოჯახს მიეწოდება. ასევე დაისვა სოციალური დახმარებების განაწილების სამართლიანობის საკითხი. უკმაყოფილება გამოითქვა მის პირობებზე. მერმა აღნიშნა, რომ ადგილობრივი ხელისუფლება სოციალური სააგენტოს სარეიტინგო ქულების სისტემაში ვერ

ერევა, ამიტომ ოჯახებმა განცხადებით სააგენტოს უნდა მიმართონ. დაისვა გარე განათების გამოტოვებული წერტილების დამატების საკითხი, ეტლით მოსარგებლე ქალმა ორღობის მოასფალტება მოითხოვა, პირადი და სოფლის პრობლემებზე იყო საუბარი. ნიკოლოზ ჯანიაშვილისგან ყველამ კომპეტენტური პასუხი მიიღო. ბოლო წლებში იმდენი რამ გაკეთდა, ისე გაუმჯობესდა ბევრი საკითხი, ვერანაირი მადლიერება ამას ვერ გამოხატავს. სასწავლო დაწესებულებების გარემონტების შემდეგ შობადობამ იმატა. ახლა ზემო მაჩხაანში გვყავს 3-4-5 შვილიანი დედები, რაც დიდი ხანია აღარ ყოფილა. ადრე კვებაც არ იყო და ბაღები იმდენად უზრუნველყოფილია, უკვე ფიქრობენ სოფლებში დაბრუნებაზე. სკოლაში იგრძნობა რომ წინა წლებთან შედარებით ბავშვების მატებაა. მე არცერთი პარტიის წევრი არ ვყოფილვარ, მაგრამ როცა ვხედავ საქმე ნამდვილად კეთდება, ვცდილობ გვერდით დავუდგე. ახლა დედოფლისწყარო ნამდვილად გამოჩნდა რუკაზე, აშკარაა, რომ განვითარებაა და ბევრი რამ გაკეთდა. გარეთ რომ გამოვდივარ სოფელშიც და დედოფლისწყაროშიც მსიამოვნებს და მადლიერები ვართ ყველა.“

ნაირა ნატროშვილი: „თბილი შეხვედრა გვქონდა საჭირბოროტო საკითხებზე. ბევრ თემაზე ვისაუბრეთ, საინტერესო კითხვები დაისვა და ხელისუფლებისგან პასუხები მოვისმინეთ. ამაზე კარგი რა არის, თუკი ხელისუფლება და მმართველი პარტია ხალხის მოსმენის სურვილს გამოხატავს და შეხვედრას ჩანიშნავს სოფლის მაცხოვრებელ ქალბატონებთან. გზების საკითხი დაისვა, აღინიშნა, რომ გზები მოწესრიგდა. ზოგან კი ოჯახებიდან წყალი ქუჩაში გამოდის. რაც ცენტრალურ გზაზე ასფალტი დაიგო, გზა ამაღლდა და კულტურის სახლის ჯებირზე საქონელი ადვილად გადადის. დავაყენე საკითხი, რომ იქნებ ეზოს შემოღობვა მოხერხდეს. გარდა ამისა, მივაწოდეთ ინფორმაცია იმაზეც, რომ კლუბის შენობაში წყალი ჩამოდის, მათ შორის რამდენიმე წლის წინ შეცვლილი სახურავიდანაც. ზოგადად ითქვა, რომ იგეგმება სოფლების კულტურის სახლების რეაბილიტაციაც. ვნახოთ რა იქნება. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ბევრი რამ გაკეთდა. იმდენად კარგი გზებია, ჩვენი სოფელი ქალაქს დაემსგავსა. დაუნახავი უნდა იყოს ადამიანი, ეს სიკეთეები ვერ შენიშნოს.“

✍ *ილია მარტყოფლიშვილი*

ანგარიში წარადგინა



დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიაში მერის, ნიკოლოზ ჯანიაშვილის ხელმძღვანელობით 31 მარტს სამუშაო შეხვედრა გაიმართა. თათბირზე მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის უფროსმა მარინა შეითნიშვილმა გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში წარადგინა. შეხვედრას მერის მოადგილეები, სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები და ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის თანამშრომლები ესწრებოდნენ.

ორ ქუჩაზე ასფალტს დააგებენ

ქალაქ დედოფლისწყაროში ორი ქუჩის გზის საფარის რეაბილიტაცია იწყება. გაზეთ „შირაქის“ ინფორმაციით, ქალაქ დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩის დარჩენილი ზედა ნაწილის მოასფალტებისთვის 983 112 ლარი იყო გათვალისწინებული, 1 აპრილს ტენდერში გაიმარჯვა „ენერჯი გრუპმა“. ხოლო, ჭავჭავაძის ქუჩისთვის 736 412 ლარი იყო გათვალისწინებული, ტენდერში 2 აპრილს გაიმარჯვა შპს „გკგ გრუპმა“. კომპანიებს სამუშაოების ჩასაბარებლად 120 დღე აქვთ.

დედოფლისწყაროს მერი ნიკოლოზ ჯანიაშვილი ამბობს, რომ ორივე ქუჩა საკმაოდ დატვირთულია, ამდენად მათი ასფალტსაფარის აღდგენა მნიშვნელოვანია.

„ძალიან აქტიურად მიმდინარეობს ინფრასტრუქტურული სამუშაოები და მართლაც ბევრი საქმე კეთდება არა მხოლოდ დედოფლისწყაროში, არამედ ყველა სოფელში. ამჟამად თითქმის ყველა სოფელში საგზაო სამუშაოები მიმდინარეობს. სამთაწყარო ფიროსმანში პირველად დავიწყეთ შიდა უბნების მოასფალტების პროცესი. მანამდე იქ წყლის ქსელების სამუშაოები იყო და ამიტომ თავს ვიკავებდით მოასფალტებისგან. ახლახანს დასრულდა ტენდერი და გვყავს გამარჯვებული კომპანია, რომელიც ქალაქ დედოფლისწყაროს ერთერთ მთავარ ქუჩაზე ასფალტის საფარს შეცვლის. ესაა ჰერეთის ქუჩა. მოგეხსენებათ, გასულ წელს ჰერეთის ქუჩის ნაწილობრივი მოასფალტება შევძელით. პროექტ განახლებული რეგიონების ფარგლებში ე.წ. საჯარო რეესტრის კორპუსამდე ახალი გზა მოვიდა. დანარჩენი ნაწილი კი ისევ ხელუხლებელია. არადა ეს გზა უკვე საკმაოდ მოძველდა და მძიმე მდგომარეობაშია. ათეული წელია მას რეაბილიტაცია არ ჩატარებია. ახლა დაიწყება სამუშაოები და სოფელ სამრეკლომდე მთლიანად ახალი გზა დაიგება. ასევე ასფალტსაფარი განახლდება ქალაქ დედოფლისწყაროში ჭავჭავაძის ქუჩაზე. ამ შემთხვევაშიც სრულად მოხდება გზის განახლება. დამეთანხმებით ეს ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან ორი დიდი და დატვირთული ქუჩის აღდგენა იწყება,“ - აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი. **შირაქი**

მიკრორაიონის დასახლებაში საკანალიზაციო სისტემის აღდგენა დაიწყო

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ქ. დედოფლისწყაროში ჰერეთის ქუჩა №2-ში არსებული მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის (N12) საკანალიზაციო ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები სულ მალე დაიწყება. მოძველებული საკანალიზაციო სისტემა რამდენიმე თვეა ადგილობრივ მაცხოვრებლებს პრობლემას უქმნის. როგორც მოქალაქეები „შირაქს“ უყვებიან, ხშირი იყო შემთხვევა, როცა ფეკალური მასები ეზოში მოედინებოდა, ქსელი იჭედებოდა.

სამუშაოებისთვის 13 600 ლარია გათვალისწინებული და გამარჯვებული კომპანია 1 აპრილს გამოვლინდა. კომპანიას სამუშაოების შესასრულებლად ორთვიანი ვადა აქვს. სარეაბილიტაციო სამუშაოების პროექტი შპს „ალდაგინი“-მ შეასრულა. ტენდერში ადგილობრივმა კომპანიამ „ტექნოსერვისი 1“ გაიმარჯვა, რომელიც სამუშაოებს სულ მალე დაიწყებს.

„სისტემა იმდენად მოძველებული და ამორტიზებული იყო ძალიან ხშირად იჭედებოდა და პრობლემებს გვიქმნიდა. სპეციალური საწმენდი მანქანა რამდენჯერმე მოვიყვანეთ კიდეც, მაგრამ იმდენად რთული მდგომარეობა იყო, აღარ გაიწმინდა. ამიტომ მერიას მივმართეთ და პრობლემის აღმოფხვრა ვთხოვეთ. იყო დაპირება, რომ გაკეთდება, თუმცა ჩვენთვის უცნობია როდის მოგვარდება ეს საკითხი. საბენიეროდ ყველა კორპუსს საერთო საკანალიზაციო სისტემა არ აქვს, თორემ ვითარება ბევრად უფრო რთული იქნებოდა, ეს პრობლემა მხოლოდ გზაზე მდებარე ორი კორპუსის მაცხოვრებლებს აწუხებს. მადლობელი ვიქნებით, თუკი დროულად დასრულდება სამუშაოები და მოსახლეობა ნამდვილად დაისვენებს,“ — აცხადებენ მიკრორაიონის მაცხოვრებლები. **შირაქი**

«მწვანე ალტერნატივა» სოფლის ეკო-სისტემის გაუმჯობესებისთვის

სამოქალაქო განვითარების ასოციაცია „საგა“ გლობალური გარემოსდაცვითი ფონდის ფინანსური მხარდაჭერით, დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში ახორციელებს პროექტს „ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება გარემოს მდგრადი განვითარებისა და ენერგოეფეტურობის შესახებ“.

ამ პროექტის ფარგლებში არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდული საინიციატივო ჯგუფმა „არბოშიკი“ მოიპოვა დაფინანსება იდეისთვის „მწვანე ალტერნატივა“, რომელიც სოფლის ეკო-სისტემის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად.

პროექტის მიზნებისა გაცნობისა და სამოქმედო გეგმის შედგენის მიზნით, 29 მარტს, საინიციატივო ჯგუფს საგას წარმომადგნელები - გიორგი ბოკერია და ლექსო ჭანკვეტაძე ესტუმრნენ. მათ შეკრებილ საზოგადოებას და იდეის/პროექტის განმახორციელებელ გუნდს ახალგაზრდებში ცნობიერების ამაღლების მნიშვნელობაზე, გარემოს მდგრად განვითარებასა და ენერგოეფექტურობაზე ესაუბრნენ, იმაზე, თუ რომორ შეუძლია ზემოთ აღნიშნულ საკითხებს მოსახლეობის კეთილდღეობის გაუმჯობესება.

„ჩვენი იდეა სოფლის ეკოსისტემის გაუმჯობესებას ისახავს მიზნად. კერძოდ სოფლის ნარგავებით გამწვანება და ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება. მწვანე საფრის სიმცირე უარყოფითად აისახება როგორც გარემოზე, ასევე მოსახლეობის კეთილდღეობაზე. პროექტი განხორციელდება არბოშიკში, სპორტული ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე, მწვანე ნარგავებით შევავსებთ სოფლის სხვადასხვა უბნებს, სადაც

მწვანე ზონების ნაკლებობაა. პროექტით შევიძენთ და დავრგავთ წიწვოვან და ფოთლოვან ხეებს (მაგ; ცაცხვი, ტუია, ფოტინია). ამით ბიომრავალფეროვნებაც გაიზრდება და სოფლის ესთეტიკური იერიც გაუმჯობესდება. პროექტს განვახორციელებთ არბოშიკის ქალთა და ახალგაზრდობის საინიციატივო ჯგუფი. პროექტის განხორციელებით სოფელში მივიღებთ:

***გაუმჯობესებულ ეკოლოგიურ გარემოს;**

***შემცირდება დაბინძურება;**

***სოფლის ესთეტიკის გაუმჯობესებას;**

***ეკო-ტურიზმის და რეკრეაციის ხელშეწყობა;**

***ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობას“** - აღნიშნა გაზეთ „შირაქთან“ საუბრისას საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელმა მაია ლამაზოშვილმა.

პროექტის ხანგრძლივობა დაახლოებით 20-30 დღეა და საჭირო ღონისძიებების განხორციელება აპრილის თვეში დაიწყება.

✍ **ჟუჟუნა ყანჩაშვილი**

სკალპელით ხელში - ადამიანის სიცოცხლის სადარაჯოზე

30 მარტი ექიმთა საერთაშორისო დღეა. ექიმთა პროფესიული დღე ყოველწლიურად აღინიშნება 30 მარტს და ის ეძღვნება იმ პროფესიონალებს, რომლებიც ყოველწლიურად ადამიანის სიცოცხლის გადასარჩენად იბრძვიან. ეს დღე ხაზს უსვამს მედიცინის სფეროში მომუშავე ადამიანების თავდადებას, ცოდნას და გულისხმიერებას. პროფესიულ დღესთან დაკავშირებით ჩვენი მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი წამყვანი პროფილის ექიმ-ქირურგს გავაცნობთ მკითხველს. შოთა ქუფარაშვილი უკვე მეორე წელია დედოფლისწყაროს საავადმყოფოს ქირურგია.

ბატონო შოთა, მედიცინაში ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადი და საპასუხისმგებლო პროფესიაა ქირურგობა. ქირურგები განსაკუთრებული სიზუსტითა და პროფესიონალიზმით ასრულებთ ოპერაციებს, რომლებიც სიცოცხლის გადარჩენის ერთადერთი ალტერნატივაა. თქვენი უნარები და და გამოცდილება მოიცავს არამხოლოდ საოპერაციო პროცესებს, არამედ დიაგნოსტიკას, პაციენტის მართვას და რეაბილიტაციას. თქვენ გაკისრიათ განსაკუთრებული სიმტკიცე, სწრაფი და ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი. თანამედროვე ტექნოლოგიების წინსვლასთან ერთად ოპერაციები უფრო ეფექტური და უსაფრთხო ხდება, რაც ექიმებს საშუალებას გაძლევთ, პაციენტებს უკეთესი შედეგები შესთავაზოთ. დროა, გაეცნოთ დედოფლისწყაროს საზოგადოებას და მოუყვეთ თქვენს შესახებ ყველაფერი.

— ***მოკლე ბიოგრაფია – სად, როდის დაიწყეთ თქვენი პროფესიით საქმიანობა, მათშორის დედოფლისწყაროში?***

ლაგოდეხში დავიბადე 1985 წელს. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გავაგრძელე და დავამთავრე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი 2009 წ; შემდეგ გავემგზავრე უკრაინაში, სადაც დავამთავრე კიევის სახელმწიფო სამედიცინო აკადემია გადაუდებელი ქირურგიის სპეციალობით 2014 წ; დავბრუნდი საქართველოში 2015 წ. და დავიწყე მუშაობა ზოგად ქირურგად. ძირითადად ვმუშაობდი კახეთის რეგიონში: ლაგოდეხში, თელავში, ახმეტაში. 2024 წლიდან მუშაობა გავაგრძელე დედოფლისწყაროში. პარალელურად ვმუშაობ ლაგოდეხშიც.

— ***რა ფაქტორები განაპირობებს წარმატებულ ქირურგიულ ოპერაციას და რა არის ყველაზე რთული გამოწვევა, რასაც ქირურგიაში აწყდებით?***

— წარმატებულ ქირურგიულ ოპერაციას ბევრი ფაქტორი განაპირობებს, მათ შორის აუცილებელია, პირველ რიგში, ქირურგის მომზადების დონე, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული. ასევე საჭირო დროს იყო საჭირო ადგილზე, გიყვარდეს შრომა, სიმართლე და პაციენტს სჯეროდეს შენი. მნიშვნელოვანია გუნდი, ვისთან ერთადაც მუშაობ და აკეთებ ყველაფერს პაციენტის გადასარჩენად. ყველაზე რთული გამოწვევა არის დაგვიანებული შემთხვევები, ისედაც რთული დაავადებების დროს, რომელთა სიაც თანამედროვე დროში უფრო მეტი და მეტია.



— ***როგორ ინარჩუნებთ კონცენტრაციას რთულ სიტუაციებში და რომელი თანამედროვე ტექნიოლოგიები და ინოვაციები ახდენს გავლენას ქირურგიაზე?***

რთულ სიტუაციებში ადვილი არ არის კონცენტრაციის შენარჩუნება, მაგრამ როცა ცოდნა, გამოცდილება, რესურსი და რწმენა გაქვს, რომ ყველაფერი კარგად იქნება, ყველაფერი მარტივდება. სწორედ რომ რთული შემთხვევები გხდის ექიმს უფრო ძლიერს და გიზრდის შესაძლებლობებს, იბრძოლო პაციენტის ჯანმრთელობისთვის. კლასიკური მედიცინის თანამედროვე მიღწევები ულტრაბგერითი, რენტგენოლოგიური კტ, მრტ და ლაბორატორიული კვლევები, მინიინვაზიური ჩარევები, ასევე ფარმაკოლოგიის ყველა ის მიღწევა, რაც არსებობს დღეს, ძალიან გვეხმარება დაავადებების მკურნალობაში და ჩვენი შესაძლებლობების რეალიზებაში. მე, როგორც ქირურგს, გადაუდებელი შემთხვევები უფრო მიყვარს, სადაც უმცირეს დროში უნდა მიიღო გადაწყვეტილება, დასვა დიაგნოზი და გააკეთო ოპერაცია. ზოგჯერ სულაც არ არის საჭირო უამრავი კვლევა და დროის კარგვა, არსებობს გადაუდებელი შემთხვევები, სადაც ყველაფერი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული პაციენტის გადასარჩენად.

— ***რას ურჩევდით მომავალ ქირურგებს, რომლებიც ახლა იწყებენ კარიერას?***

მედიცინა ცოცხალი ორგანიზმი-ვითაა, მუდმივად ვითარდება, მუდმივად ჩნდება ახალი გამოწვევები, საჭიროა ბრძოლის მეთოდების მუდმივად განახლება და დახვეწა. მომავალ ქირურგებს ვურჩევდი, ბევრი იკითხონ, დაკავდნენ უწყვეტი განათლების მიღებით და აიმაღლონ პრაქტიკის დონე. არასოდეს არ დაეზაროთ პაციენტის ჯანმრთელობისთვის ზრუნვა და სიკეთის კეთება. ქირურგია ხელსაქმესავითაა, რაც მეტს მუშაობ, მით უფრო კარგია ამ შემოქმედების შედეგები.

ვისარგებლეგთ შემთხვევით და გაზეთ „შირაქის“ რედაქცია მადლიერებას გამოვხატავთ მედიცინის მუშაკების მიმართ, ვინც დაუღალავად შრომობს ჯანმრთელობის დაცვის სფეროში. პროფესიონალი მედიკოსები იმსახურებენ საზოგადოებრივ აღიარებასა და პატივისცემას, რადგან მათი შრომა ცვლის ადამიანების ცხოვრების ხარისხს და ხშირად ახდენს სასწაულებს.

აუტიზმის სპექტრი და მშობლების გამოცდილება

აუტიზმის სპექტრის აშლილობა (ASD) ნეიროგანვითარების მდგომარეობაა, რომელიც გავლენას ახდენს კომუნიკაციას, სოციალურ ურთიერთობებსა და ქცევაზე. ამ მდგომარეობას მრავალი ფორმა აქვს, რის გამოც მას „სპექტრი“ ეწოდება. მშობლებისთვის, რომელთა შვილებს აუტიზმი აქვთ, ცხოვრება შეიძლება სირთულეებით სავსე იყოს, მაგრამ ამავდროულად, სიყვარულითა და თავდადებით აღსავსე. ამ ინტერვიუებში მშობლები გვიყვებიან თავიანთ გამოცდილებაზე, გამოწვევებზე და იმაზე, თუ როგორ ცდილობენ შვილების მხარდაჭერას.

პირველი ნაბიჯები და დიაგნოზი

ნინო – 5 წლის ბიჭის, საბას დედა, გვიყვება:

„ჩვენი შვილი ჩვილობიდანვე განსხვავებული იყო – არ რეაგირებდა სახელზე, არ ამყარებდა თვალებით კონტაქტს. თავდაპირველად მეგონა, რომ უბრალოდ თავისი ხასიათი ჰქონდა, მაგრამ როცა ექიმებმა აუტიზმის სპექტრზე მიგვანიშნეს, გამიჭირდა ამის მიღება. დიაგნოზის დადასტურების შემდეგ, შიში და დაბნეულობა ვიგრძენი, მაგრამ თანდათან გავაცნობიერე, რომ საბას უბრალოდ განსხვავებული საჭიროებები აქვს.“

ბევრი მშობლისთვის დიაგნოზის მიღება ემოციურად რთული პროცესია. ზოგიერთისთვის ეს შვებაც კია, რადგან საბოლოოდ პასუხი აქვთ იმ კითხვებზე, რაც ბავშვების უცნაურ ქცევებთან დაკავშირებით იჩენდა თავს.

„საბას უჭირს კომუნიკაცია, ვერ მეტყველებს, ამიტომ ალტერნატიულ მეთოდებს ვიყენებთ – ჟესტების ენა, სურათები, სპეციალური აპლიკაციები. ასევე, აქვს სენსორული მგრძნობელობა, ამიტომ ზოგიერთი ხმაური ან შეხება მას შფოთვას უჩენს“ - გვიყვება ნინო.

გიორგი – 7 წლის ლუკას მამა, აღნიშნავს, რომ ყოველდღიური რუტინის დაცვა ძალიან მნიშვნელოვანია: „თუ დღის განრიგში ცვლილება ხდება, ლუკას უჭირს შეგუება. მაგალითად, თუ ბაღში სხვა მასწავლებელი დახვდა, შეიძლება მთელი დღე განწყობა ვერ დაიბრუნოს. ამიტომ ვცდილობთ, წინასწარ ვუთხრათ, რას უნდა ელოდოს.“

მშობლების თქმით, საზოგადოების დამოკიდებულება ხშირად დამაბრკოლებელია. ბევრი ადამიანი არ არის ინფორმირებული აუტიზმის შესახებ, რაც სტიგმას ქმნის. ნინო ამბობს:

„როცა საბა მაღაზიაში ტირილს იწყებს, ხალხი გვიყურებს, თითქოს უზრდელი ბავშვი მყავდეს. რეალურად, ეს მისი კომუნიკაციის ფორმაა. საზოგადოებამ უნდა გაიგოს, რომ აუტიზმი არ არის ცუდი რამ, უბრალოდ სხვა გზით აღქმაა.“

მიუხედავად სირთულეებისა, მშობლები ამბობენ, რომ სწორ მიდგომასა და თერაპიას დიდი პროგრესი მოაქვს.

გიორგი აღნიშნავს: „როდესაც ლუკამ პირველად ისწავლა სურათის ჩვენებით სათამაშოს თხოვნა, ეს დიდი მიღწევა იყო. ეს პატარა ნაბიჯები ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია.“

აუტიზმის მქონე ბავშვების მშობლები დიდ ძალისხმევას დებენ, რომ შვილებს დამოუკიდებლობა და კომფორტული ცხოვრება უზრუნველყონ. მიუხედავად სირთულეებისა, მათთვის მთავარი სიყვარულია, რომელიც ამ პროცესს აზრს სძენს.

აუტიზმის სპექტრის მქონე ბავშვების აღზრდა უდიდესი გამოწვევაა, მაგრამ თითოეულ დაბრკოლებასთან ერთად მშობლები სწავლობენ, იზრდებიან და ეძებენ გზებს, რომ შვილებს საუკეთესო პირობები შეუქმნან. საზოგადოების ინფორმირებულობა და მხარდაჭერა ამ პროცესში გადამწყვეტი ფაქტორებია, რაც აუტისტი ბავშვების უკეთ ინტეგრირებასა და მშობლებს წნეხის შემცირებაში ეხმარება.

გვერდი მოამზადა

✍ *ელზა ხარაშვილმა*

შშმ პირს საზოგადოების დახმარება სჭირდება

დედოფლისწყაროში შირაქის ქუჩაზე მცხოვრებ დავით გარსენიშვილს საზოგადოების დახმარება სჭირდება. მეოთხე წელია ის ლოგინსაა მიჯაჭვული და გადაადგილებას ვერ ახერხებს. ოჯახის ყველა წევრი შშმ პირია, ამდენად ისინი ელემენტარულ საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფასაც ვერ ახერხებენ. 61 წლის მამაკაცი დაუყოვნებლივ ქირურგიულ ჩარევას საჭიროებს. მისი ოცნებაა ეტლით იმოძრაოს, თუმცა მას მკურნალობისთვის საჭირო ფინანსები არ აქვს, ამიტომ საჭიროა საზოგადოების ჩართულობა.

მისი ოჯახის ყველა წევრი უნარშეზღუდულია, ამდენად ფინანსური პრობლემების გარდა ყოველდღიურ საყოფაცხოვრებო დაბრკოლებებსაც აწყდებიან.

დათო გარსენიშვილი: „ჯანმრთელობის პრობლემები მთელი ცხოვრების მანძილზე მაწუხებს. ბავშვობიდან სუსტი ვიყავი, მუდმივად ვავადობდი და ხშირად საავადმყოფოში ვიწექი. მეორე ჯგუფის ინვალიდის სტატუსი პატარა ასაკიდანვე მქონდა, მოგვიანებით მესამე ჯგუფი მომენიჭა და ორი თვეა ისევ მეორე ჯგუფი მომცეს. აქამდე 150 ლარიან პენსიას ვიღებდი, ახლა 230 ლარი მაქვს. პირველი ჯგუფიც მეკუთვნის, მაგრამ არ მაძლევენ... 2004 წლის 25 დეკემბერს დედოფლისწყაროში, თავისუფლების ქუჩაზე ავტოავარიაში მოვყევი. მაშინ რესტორნის მომმარაგებლად ვმუშაობდი და სახლში მოტოციკლით ვბრუნდებოდი. გვერდიდან მომავალი ავტომობილი დამეჯახა, როგორც ჩანს ვერ დამინახა. ძალიან მძიმედ დავშავდი. ექიმები მეუბნებოდნენ ვერ გადარჩებიო. გურჯაანის სავადმყოფოში გადამიყვანეს და ღმერთმა არ გამწირა. გადავრჩი, მაგრამ ფეხების პრობლემა იქიდან დამეწყო. მას შემდეგ 20 წელი გავიდა და მუხლებიდან ამ ხნის მანძილზე მუდმივად სითხე მდიოდა. შემდეგ სიარულიც დავიწყე, მაგრამ სითხე ვერ შევაჩერეთ. ამას გარდა, ოპერაცია კარგად ვერ გაკეთდა და ერთი ფეხი მეორეზე მოკლე მაქვს. აქედან კიდევ უფრო გართულდა ჩემი მდგომარეობა, მაგრამ ბოლო დრომდე მოძრაობას მაინც ვახერხებდი, ახლა საწოლს მივეჯაჭვე. მაჩხაანელი კაცი დამეჯახა და მძღოლს არ ვუჩივლეთ, იმედი გვქონდა დაგვეხმარებოდა, მაგრამ არანაირი მხარდაჭერა არ გამოუხატავს. მერე პოლიციაში მივედი და როგორც ქრისტიანმა, შევუნდე და განცხადება გამოვიტანე. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის დამნაშავე არ იყო, მისი დაუდევრობით მოხდა ეს შეჯახება. საკუთარი ძალებით ვმკურნალობდი. სამი წლის განმავლობაში ვერ ვმოძრაობდი, მერე ნელ-ნელა ხელახლა ავიდგი ფეხი, ეტლიც დამჭირდა, მაგრამ ასე თუ ისე მაინც ვმოძრაობდი.

— ***დღეისთვის როგორი მდგომარეობა გაქვს?***

— ახლა ორივე მუხლის სახსარი ჩაკეტილი მაქვს, მოხრილ მდგომარეობაშია და ვერ ვშლი. ხელის მოძრაობაც მიჭირს, თუმცა მე არ ვვოცნებობ გავლაზე, ან ფეხზე დგომაზე. ერთადერთი მარცხენა მენჯის სახსრის ოპერაციის გაკეთებას ვაპირებ. პროთეზირება მჭირდება, მინდა დაჯდომა და ეტლით სარგებლობა შევძლო, რომ საოჯახო საქმეები და საკვების მომზადება მაინც მოვახერხო. ვიცი, ბევრს ვერაფერს შევძლებ და ამის ამბიცია არც მაქვს, მაგრამ ოპერაციის შემდეგ ოჯახის მიხედვას მაინც მოვახერხებ. მოხუცი დედა დამბლიანი მყავს, ყველაფერი ხელებიდან უვარდება, ვერაფერს აკეთებს, ისიც ჩემი მისახედია. 85 წლისაა და ხშირად წაიქცევა ხოლმე.

მუხლებიც მაწუხებს, მაგრამ განსაკუთრებით მტკივა მარცხენა მენჯი, ყოველი დილა აუტანელი ტკივილით იწყება და სანამ წამალს დავლევ სულ ვტირი ხოლმე. თუ წამალს ვსვამ, ამას მიყუჩებს, მაგრამ სხვა პრობლემებს მიქმნის. ცუდად მოქმედებს თირკმელზე. ვიცი, რომ გართულებებს იწვევს, მაგრამ სხვა გზა არ მაქვს, იმდენად აუტანელი ტკივილია, შეუძლებელია გავუძლო. ზოგჯერ სხვა, უფრო მსუბუქ წამლებს ვიღებ, რომელსაც ისეთი ეფექტი არ აქვს და ასეთ დროს გადატრიალება მიჭირს. სამ წელზე მეტია ასე გრძელდება და ჩემი ნატვრაა, რაღაც შეიცვალოს ჩემს ცხოვრებაში. წლები გადის, სასწაულის მოლოდინში ვარ, მაგრამ ვერაფერი შევცვალე. უკვე არაფრის იმედი აღარ დამრჩა.

ასეთ ფრაზას ხშირად ვიყენებ ხოლმე: „სიკვდილს დავდევ, მაგრამ გამირბის“... თუმცა, სიკვდილი მათთვისაა ტრაგედია, ვისაც სიცოცხლე უყვარს, მაგრამ მე სიცოცხლის მეშინია. ჩემში ეს შიში ყოველ დღე ძლიერდება. წამლის მოქმედება რომ გაივლის ისევ ტკივილები მეწყება და ღამეც უძილობა მაქვს. ესაა ჩემი პრობლემა და დიდი გასაჭირი.

— ***რა გამოსავალი არსებობს, რა გეგმები გაქვს?***

— ბევრს ეცადნენ ჩემი ახლობლებიც და ეკლესიაც, რომ ფეხზე დავმდგარიყავი, მაგრამ ვერაფერი მოხერხდა. როდესაც გამოკვლევები ჩავიტარე, ეს ოპერაცია კოსმეტიკურად ჩაითვალა და არ დაფინანსდა. არც ასაკობრივი პენსიონერი ვარ, არც სოციალური სტატუსი მაქვს, არანაირი



შეღავათით არ ვსარგებლობ. ერთი ოპერაცია 8 400 ლარი ჯდება, თუმცა როგორც ექიმმა ამიხსნა 4-5 ასეთი ოპერაცია მაინც მჭირდება. ვიცი, ბოლომდე მიყოლას ვერ შევძლებ, ამიტომ გამოსავალი ვნახე, ისეთი პრობლემა გადავჭრა, რაც დაჯდომის შესაძლებლობას მომცემს. ამიტომ, ახლა ჩემი ოცნება ეს ოპერაციაა. რაც ჩაწოლილი ვარ სამ წელზე მეტია დედას პენსიას ვაგროვებთ, მაგრამ 3000 ლარსაც ვერ მოვუყარეთ თავი. მინდა, რამენაირად მოვაგროვოთ ეს თანხა, მაგრამ ვერ ვახერხებთ. ამიტომ ეს ოცნება ჩემთვის მიუწვდომელია. დიდხანს ვიკავებდი თავს, ჩემს პრობლემებზე საჯაროდ მესაუბრა და ვინმე შემეწუხებინა, ან დახმარება და ფინანსური თანადგომა მეთხოვა. მაგრამ, მდგომარეობა ისე გართულდა სხვა გამოსავალი აღარ დამრჩა. პრინციპულად არ მინდოდა სხვისი ფულადი დახმარება მიმეღო. ყოველთვის ვცდილობდი გამეცა და არაფერი მიმეღო. ბევრი წელი ლოდინი დამჭირდება, რომ პენსიონერი გავხდე, სოციალურ დახმარებასაც არ გვაძლევენ. სულ ვმარხულობ და ვლოცულობ იმისათვის, რომ გამოჩნდნენ ისეთი ადამიანები, ვინც ორგანიზებას გაუწევდა ჩემს მკურნალობას. ღმერთმა გამომიგზავნა ჩემი ნათესავი, ნიკოლოზ გარსენიშვილი, რომელიც უზრუნველყოფს ჩემს ტრანსპორტირებას, დედაქალაქში გადაადგილებას და ყველა პროცესს დააორგანიზებს. მისი ძალისხმევით სოციალურ ქსელში დაიდო ჩემი ანგარიში და ინფორმაცია და ცოტა შემოწირულობები არის. დიდი გამოხმაურება და ემოცია წამოვიდა, მაგრამ კარგახანს ვტიროდი, სწორედ მოვიქეცი თუ არა მეთქი. ბევრმა დამამშვიდა, კიდევაც დააგვიანეო. მართალია უნარშეზღუდული ადამიანი ვარ, მაგრამ მეც მაქვს პრინციპები, ზნეობა, მორალი... მინდოდა სხვებს დავხმარებოდი, მაგრამ პირიქით მოხდა. ნათესავებმა მოაგროვეს 100—100 ლარი, 500 ლარიც ერთმა უცნობმა კაცმა მომიტანა. 4000 ლარამდე მოვაგროვე, თუმცა ამდენი კიდევ საშოვნელია. ამის მიუხედავად, ნიკოლოზის დახმარებით ვაპირებთ 14 აპრილიდან ჯერ გამოკვლევებზე წავიდე, რათა ოპერაცია დავგეგმოთ. იმედი მაქვს სანამ ოპერაციას დავნიშნავთ საჭირო თანხის მოგროვება შესაძლებელი გახდება.

— ***ნაკითხი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებ, რა განათლება გაქვს მიღებული?***

— მორწმუნე ვიყავი და ეკლესიაში დავდიოდი, ამიტომ თეოლოგიური განათლება მივიღე, თბილისში ამ განხრით ორწლიანი კოლეჯი დავამთავრე. მართალია დიპლომის დაცვა ვეღარ შევძელი, მაგრამ ეს სფერო ძალიან მაინტერესებდა და ყურადღებით ვსწავლობდი. ცოტა ხანს ვმუშაობდი კიდეც. მთელი ცხოვრება ბიბლიას ვიკვლევ, 27-ჯერ მაქვს წაკითხული. ბიბლია ჩემთვის იმდენად ემოციური წიგნია, წლების მანძილზე საათობით ვიჯექი და ვკითხულობდი, სულ განცდებში ვიყავი ხოლმე. მშობლები მოვიდოდნენ, „გეყოფა კითხვა, ადექი, გაიარ-გამოიარეო“. შეიძლება ითქვას, პროფესიით ბიბლიისტი ვარ, იმდენად შევისწავლე. ძალიან დამეხმარა ცხოვრებაში. მანამდე ერთი გაუთლელი, გზას აცდენილი ბიჭი ვიყავი, ვსვამდი, ვეწეოდი, ვთამაშობდი... ახლა,თუ რამ ვიცი, ყველაფერი ბიბლიამ მასწავლა. მართლაც ბევრ რამეზე დამაფიქრა და ძალიან დამაჭკვიანა. ზოგადად, კითხვა ყოველთვის მიყვარდა და ხშირად ვკითხულობ ხოლმე. რელიგიურ და მხატვრულ ლიტერატურას ვკითხულობ, ახლაც ერთი საინტერესო რომანი წავიკითხე.

1991 წლიდან დედოფლისწყაროს სამლოცველო სახლში მამა მირიან არდაზიშვილთან დავდიოდი, შემდეგ თბილისში დიდუბის ტაძარში დავდიოდი. მერე ცოტა ხანს ამერია ყველაფერი და ბაპტისტურ ეკლესიაშიც ვიარე, მაგრამ იქ სიწმინდე ვერ დავინახე და ისევ ჩვენს ეკლესიას დავუბრუნდი. შემდეგ რამდენიმე წელი, ვიდრე ავარიაში მოვყვებოდი დედოფლისწყაროში მამა ნიკოლოზთან ვიყავი. დღემდე გამოვარჩევ დეკანოზ ნიკოლოზ ლომსაძეს, ის ყველაზე დიდი ავტორიტეტია ჩემთვის. მან მართლაც სინათლე შემოიტანა დედოფლისწყაროში, ამიტომ მას ძალიან ვაფასებ.

— ***როგორც ვიცი, არ გაქვთ სოციალური სტატუსი, როგორ ახერხებთ თავის რჩენას?***

— ოჯახის სამივე წევრი შშმ პირი ვართ. ჩვენთან ერთად ცხოვრობს ჩემი 33 წლის დისშვილი, რომელიც ჩაწოლილებს გვპატრონობს, გადაბრუნება გვინდა, წაქცეულის აყენება, თუ საჭმელი, ამის იმედზე ვართ. სოციალურად დაუცველის სტატუსი გვქონდა წლების წინ. მაგრამ მერე მეზობლებმა იჩივლეს, ორი ღორი გვყავდა და დახმარება შეგვიწყვიტეს. 5 წელზე მეტია განცხადებაც აღარ შეგვიტანია. ჩვენი მდგომარეობა მძიმდებოდა, ოჯახის სოციალური სარეიტინგო ქულა კი 67 000-დან სულ უფრო იზრდებოდა. არადა სახლიც ძველია, იატაკი ჩავარდნილია, კედლები კარ-ფანჯარა, ჭერი მოძველებულია, წყალი ჩამოდის. თანაც არჩევანის გაკეთება გვიწევს. სოციალურმა აგენტებმა რომ შეგვამოწმონ და ქულები ხელახლა დათვალონ, მაშინ სტუმრად მყოფმა დისშვილმა უნდა დაგვტოვოს. ის თუ წავა, ორივე უმოძრაოდ ვართ და მთლად უპატრონოდ დავრჩებით, წყლის მომწვდელიც არავინ გვყავს... რადგან გვანცა მუდმივად ჩვენთან ერთად ცხოვრობს, ამის გამო ვერ მოვახერხეთ საარსებო შემწეობის აღდგენა. ჩემი და თავისი ოჯახით თბილისში ცხოვრობს, მხოლოდ ის მყავს, სხვა არავინ... თვეში ერთხელ ჩამოდის ხოლმე, პროდუქტებით მოგვამარაგებს, საკვებს მოგვიმზადებს და ისევ მიდის. ძირითადად დედას პენსიით ვახერხებთ პროდუქტის ყიდვას. როცა ფული აღარ გვაქვს, მაღაზიიდან ვალით გამოგვაქვს საკვები. ჩემი პენსია მთლიანად წამლებში მიდის. წამლებიც არ მშველის, ან სხვა პრობლემებს იწვევს, მაგრამ მედიკამენტების გარეშე ძლიერი ტკივილები მაქვს, ამიტომ ჩემი პენსია ძირითადად მედიკამენტებს მიაქვს.

— ***რა შეღავათებით სარგებლობთ და დედოფლისწყაროს მერიისთვის თუ მიგიმართავთ?***

— არანაირი შეღავათებით არ ვსარგებლობთ, მხოლოდ მერიის მიერ გამოყოფილი კომუნალური გადასახადების შეღავათი გვაქვს. ზამთრის სეზონზე დედოფლისწყაროს ბიუჯეტიდან შეშის ფულსაც ვიღებთ. წლების განმავლობაში სათნოების სახლის კვებით ვსარგებლობდით. ბოლო ხანს სიარული რომ მიჭირს ვეღარ მივდიოდი. შემდეგ ჩემს დისშვილს ვაგზავნიდით ჩვენი ულუფა საკვების გამოსატანად, მაგრამ ჩემს დას ეშინოდა, რომ მის უნარშეზღუდულ შვილს გზაში რამე არ მოსვლოდა და ამიტომ ვეღარ მოგვაქვს საკვები, ამოვეწერეთ სათნოების სახლიდანაც. თუმცა, ისევ გვინდა კვებაზე ჩავეწეროთ. დიდი შეღავათი იყო ჩვენთვის უფასო კვებით უზრუნველყოფის პრობლემა. მერთან შესვლას და ჩემს პრობლემებზე საუბარს ვერ ვახერხებ, ამიტომ ბოლო წლებში მისთვის ჩემი პრობლემა ცნობილი არ არის.

✍ *ილია მარტყოფლიშვილი*

პირადი ნომერი **14001014401**
GE30TB7630245064300097
თიბისი ბანკი
GE62BG0000000607065949
საქართველოს ბანკი
მიმღები: დავით გარსენიშვილი

„შექმენი მომავალი“ აქტიურად განაგრძობს საქმიანობას

2025 წლის 2 აპრილს სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N 2 საჯარო სკოლის ეკოკლუბს „შექმენი მომავალს“ საინტერესო, შინაარსიანი, მომავლის გეგმებითა და იდეებით დატვირთული შეხვედრა ჰქონდა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების რეინჯერთა სამსახურის უფროსთან, ვაჟა ჩერქეზიშვილთან.

შეხვედრის იდეა, ეკო-კლუბის ხელმძღვანელს **ნონა ტოკლიკიშვილს** ეკუთვნის. როგორც მან გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, „დედოფლისწყაროს მეორე საჯარო სკოლის დირექტორმა გაიმარჯვა პროექტში, რომელიც კატასტროფების რისკის შემცირებასთან არის დაკავშირებული. ეს შეხვედრაც სწორედ ამ პროექტის ფარგლებში ჩატარდა. შეხვედრას ეკო-კლუბის წევრები და სასკოლო საზოგადოება ესწრებოდა. უნდა აღვნიშნო, რომ ვაშლოვანის დაცულ ტერიტორიებთან ჩვენ უკვე 7 წელია რაც ვთანამშრომლობთ. ვაჟა ჩერქეზიშვილმა ძალიან საინტერესო და შინაარსიანი პრეზენტაცია წარადგინა ბავშვებთან. ამან მოსწავლეების აქტიურობასაც შეუწყო ხელი. დღევანდელი მონაცემებით, ეკო-კლუბში ჩართულია 20-მდე მოხალისე. სამომავლოდ, ვგეგმავთ ექსკურსიას ვაშლოვანში და კურციკების შობადობაზე აქტიურ დაკვირვებას“.

გაზეთი „შირაქი“ წარმატებას უსურვებს ეკო-კლუბს, მის ხელმძღვანელსა და მეორე საჯარო სკოლის სასკოლო საზოგადოებას. განუზომელია მათი როლი ბუნების მოვლა-პატრონობისა და დაცვის საქმეში.

✍ ჟუჟუნა ყანჩაშვილი

ღონისძიება არბოშიკში

28 მარტს, სოფელ არბოშიკის კულტურის სახლში ჩატარდა ღონისძიება, რომელიც მიეძღვნა ქალთა დღესასწაულებს და გაზაფხულს. ღონისძიებაში მონაწილეობდნენ სოფლების: ზემო მაჩხაანის, არბოშიკისა და ოზაანის კულტურის სახლთან მოქმედი ვოკალური და ქორეოგრაფიული ანსამბლები, ინდივიდუალური შემსრულებლები. დარბაზში მოწყობილი იყო ადგილობრივების ხელნაკეთი ნივთებისა და ნაქარგების, მათ შორის მირზაანის დედათა მონასტრის ნამუშევრების გამოფენა.

აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების სართაშორისო დღე

2 აპრილს მსოფლიოში აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე აღინიშნება.

2007 წლის 18 დეკემბერს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა. სსიპ ქ. დედოფლისწყაროს N 2 საჯარო სკოლის სპეციალურმა მასწავლებელმა ირინა ფიროსმანაშვილმა საინტერესო აქტივობა განახორციელა მე-6 კლასის მოსწავლეებთან(კლასის დამრიგებელი: ნონა ტოკლიკიშვილი).

ამავე სკოლის სპეციალურმა მასწავლებელმა თამარ პოპიაშვილმა, მეოთხე კლასის დამრიგებელ ნანა ბეგიაშვილთან ერთად მოსწავლეებს ესაუბრა. ბავშვებმა მნიშვნელოვანი ინფორმაცია მოისმინეს აუტიზმის მდგომარეობის შესახებ და მასწავლებლებთან ერთად შექმნეს პოსტერი ამ დღესთან დაკავშირებით.

ვიცოდეთ მეტი დაუნის სინდრომზე

სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ სამთაწყაროს საჯარო სკოლის კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელმა და ამავე დროს დირექტორმა, ქალბატონმა ეკატერინე ჩიტაურმა, სასკოლო საზოგადოებასთან ერთად განახორციელა საგანმანათლებლო პროექტი დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღსანიშნავად.

პროექტის მიზანი იყო დაუნის სინდრომის მსოფლიო დღის აღნიშვნა და სასკოლო საზოგადოების ცნობიერების ამაღლება. ინკლუზიური გარემოს წახალისება, მოსწავლეთა ემპათიის, ტოლერანტობისა და სოციალური პასუხისმგებლობის განვითარება უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა.

პროექტში აქტიურად ჩაერთნენ დაწყებითი და საბაზო საფეხურის მოსწავლეები, რომლებმაც ფერადი წინდებისა და პოსტერების შექმნით გამოხატეს სოლიდარობა. ღონისძიების დასაწყისში მოსწავლეებთან ჩატარდა დისკუსია, დაისვა აქტუალური კითხვები, ხოლო ღონისძიების დასასრულს გაიმართა პრეზენტაცია, რომელშიც ასახული იყო მოსწავლეთა აქტივობები და მათი შთაბეჭდილებები ამ დღის მნიშვნელობაზე.

გარემოს გაფორმებაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მოსწავლეებმა, რომლებმაც თავიანთი ნამუშევრებით მორთეს სკოლის სივრცე. პროექტის პრეზენტაციის მომზადებაში მონაწილეობა მიიღეს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეებმა, ქალბატონ მარიამ ტაბატაძის ხელმძღვანელობით.

ღონისძიებამ დიდი ინტერესი და დადებითი ემოციები გამოიწვია მოსწავლეებსა და პედაგოგებში. დისკუსიამ და შემოქმედებითმა აქტივობებმა ხელი შეუწყო დაუნის სინდრომის შესახებ სტიგმების დაძლევას და თემის უკეთ გააზრებას. პრეზენტაციის დასრულების შემდეგ გამოიკვეთა, რომ მოსწავლეებმა ამ დღის მნიშვნელობა და მისი არსი გაცილებით უკეთ გაითავისეს.

ღონისძიება სასკოლო საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო ინკლუზიურობისა და ურთიერთპატივისცემის კულტურის ჩამოყალიბებისკენ. მსგავსი აქტივობების ჩატარება ხელს შეუწყობს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას, ემპათიის გაღრმავებას და საზოგადოებაში თანასწორი დამოკიდებულებების ფორმირებას.

„განსაკუთრებული მადლობა პროექტში მონაწილე ყველა მოსწავლეს, პედაგოგს და სკოლის საზოგადოებას მხარდაჭერისა და აქტიური ჩართულობისთვის“ - აღნიშნულია სკოლის მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„სოფლის ნობათის“ რძის ნიმუშებში აფლატოქსინი გამოვლინდა

სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებით, „სოფლის ნობათის“ პროდუქციაში, მათ შორის საბავშვო რძის ნიმუშებში, აფლატოქსინი გამოვლინდა.

სურსათის ეროვნული სააგენტოს თბილისის საქალაქო სამსახურის ინსპექტორებმა „ვიმ-ბილ-დან საქართველოში“ (სოფლის ნობათი) სახელმწიფო კონტროლი 28 მარტს განახორციელეს.

მედიცინის ეროვნული ბიბლიოთეკის პორტალის (NIH) ინფორმაციით, აფლატოქსინები შხამიანი კანცეროგენებია, რომლებიც წარმოიქმნება სოკოების მიერ, ძირითადად Aspergillus flavus-ისა და Aspergillus parasiticus-სგან. მისმა გახანგრძლივებულმა ზემოქმედებამ შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის ფუნქციის დარღვევა და, მძიმე შემთხვევებში ჰეპატოცელულარული კიბო, დაზიანებული რეპროდუქცია, ტვინის ფუნქციის დარღვევა და ბავშვებში ზრდის შეფერხება.

„ინსპექტირების შედეგად საწარმოში კრიტიკული შეუსაბამობა არ გამოვლენილა, თუმცა, დაფიქსირდა სურსათის შესახებ ინფორმაციის მიწოდების წესის დარღვევა, რის გამოც ბიზნესოპერატორი დაჯარიმდა სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის კოდექსის შესაბამისად. გარდა ამისა, შპს „ვიმ-ბილ-დან საქართველოს“ დაევალა აზერბაიჯანში წარმოებული რძის 5 ნიმუშის აღება (რომლიდანაც ერთი არის ბავშვთა კვებისთვის განკუთვნილი) და აფლატოქსინ M1-ზე გამოკვლევა; ასევე არასწორად ეტიკეტირებული სურსათის ბაზრიდან გამოთხოვა. სააგენტოს ზედამხედველობით აღებული ნიმუშები გაიგზავნა აკრედიტებულ ლაბორატორიაში“, - ნათქვამია სურსათის ეროვნული სააგენტოს განცხადებაში.

სააგენტოს თანახმად, ლაბორატორიული კვლევის შედეგად აფლატოქსინ M1-ის გადაჭარბებული ოდენობა დაფიქსირდა ხუთ ნიმუშში:

- ***სასმელი რძე საბავშვო, ულტრაპასტერიზებული, 2,5% ცხიმიანობით. დამზადების თარიღი: 04.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 03.08.2025***
- ***სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 1,5% ცხიმიანობით. დამზადების თარიღი: 12.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 11.08.2025***
- ***სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 1,5% ცხიმიანობით. დამზადების თარიღი: 10.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 09.08.2025***
- ***სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 2,5% ცხიმიანობით. დამზადების თარიღი: 09.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 08.08.2025***
- ***სასმელი რძე რჩეული ულტრაპასტერიზებული, 3,2% ცხიმიანობით - დამზადების თარიღი: 02.02.2025, ვარგისიანობის ვადა: 01.08.2025***

„ვიმ-ბილ-დან საქართველოს“ დაევალა დასახელებული სურსათის პარტიების სარეალიზაციო ქსელიდან ამოღება/გამოთხოვა. სურსათის ეროვნული სააგენტო მოუწოდებს მომხმარებელს, არ გამოიყენოს აღნიშნული რძე“, - აცხადებს სურსათის ეროვნული სააგენტო.

„სოფლის ნობათის“ რძის ნიმუშებში „აფლატოქსინ M1“-ის გამოვლენას დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელი **პაატა იმნაძე** გამოეხმაურა. მისი თქმით, აფლატოქსინების ის რაოდენობა, რაც „სოფლის ნობათის“ რძის ნიმუშებში გამოვლინდა, მწვავე მოწამვლას ვერ გამოიწვევს. **„მათი მიღება, ხანგრძლივი დროით და დიდი დოზით უნდა გაგრძელდეს, რომ ღვიძლის, ან სხვა, რაიმე უფრო მძიმე დაავადება გამოიწვიოს. ამ რაოდენობაზე კი, რომელიც ბევრ განვითარებულ ქვეყანაში არსებულ დასაშვებზე ნაკლებია, ეს საშიშროება არ არსებობს“**, - განაცხადა პაატა იმნაძემ.

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ცნობით, ჯანდაცვის მინისტრმა მიხეილ სარჯველაძემ, ტოქსიკოლოგებსა და ექსპერტებთან შეხვედრა გამართა, რომელსაც ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე ირაკლი სასანია, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე აპოლონ კაკაბაძე და სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი ზურაბ ჩეკურიშვილი ესწრებოდნენ.

როგორც პაატა იმნაძემ აღნიშნა, სხვადასხვა ქვეყანაში, აფლატოქსინების სხვადასხვა ნორმატივებია. მისივე განცხადებით, საქართველო ევროპული ნორმატივებით ხელმძღვანელობს, რომელიც ამერიკულზე 10-ჯერ მკაცრია. შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სურსათის ეროვნული სააგენტო გააგრძელებს უწყვეტ კონტროლს.

ინფექციონისტი **მაია ბუწაშვილი** „სოფლის ნობათის“ რძის ნიმუშებში აფლატოქსინის გამოვლენასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ „აფლატოქსინ M1“-ის ხანგრძლივი ზემოქმედებით შეიძლება განვითარდეს ღვიძლის ციროზი და კიბო. ორსულების ორგანიზმში კი ტოქსინის მოხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის განვითარების შეფერხება, ხოლო მეძუძური დედის შემთხვევაში ტოქსინი შეიძლება დედის რძეში მოხვდეს და ბავშვის ჯანმრთელობის რისკი შექმნას.

„აფლაქოტსინი წარმოადგენს ტოქსიკურ და კანცეროგენულ ნივთიერებას, რომელსაც გამოიმუშავებს სოკოების ზოგიერთი სახეობა (Aspergillus). ის შეიძლება აღმოჩნდეს სხვადასხვა თხილეულში, მარცვლეულში და სხვ. რძეში შეიძლება მოხვდეს იმ შემთხვევაში, თუ ცხოველი მიიღებს ტოქსინის შემცველ საკვებს, მაგალითად, თუ ცხოველის საკვების შენახვის პირობები დარღვეულია (ნესტიან გარემოში ინახება). აფლაქტოქსინის გაუვნებლება არ ხდება თერმული დამუშავებით. შესაბამისად, რძის ადუღება მას ვერ ანეიტრალებს. აფლატოქსინის ზემოქმედებით შეიძლება განვითარდეს ღვიძლის სერიოზული დაზიანება. მწვავედ განვითარებული სიმპტომები შეიძლება იყოს მუცლის ტკივილი, ღებინება, სიყვითლე და სხვა. ხანგრძლივი ზემოქმედებით შეიძლება განვითარდეს ღვიძლის ციროზი და კიბო.

/გაგრძელება გვ.7/

მიწის პრობლემები ქიზიყში

1907 წელს კავკასიის უმაღლეს მთავრობის განკარგულებით ქიზიყში მიწის მომწესრიგებელი დასი მოვიდა. მუშაობას შეუდგა ბოდბისხევსა, ჯუგაანსა, ხირსასა, ზემო მაჩხაანსა და ქვემო მაჩხაანში. დასი მოწადინებული იყო მოეწესრიგებინათ ქიზიყელთა მიწათმფლობელობა, მაგრამ ადგილობრივთ უნდობლად შეხედეს. არ უნდოდათ გაეყვანათ არც ვექილი და არც მუშები. კომისია ბევრს ეცადა, ყველაფერი აუხსნა, მაგრამ მათი გულგრილობა მაინც ვერ გატეხა. მირზაანელებმა სულ უარი განაცხადეს და მიზეზად ის მოიდეს, მოსავალი არ მოგვივიდა და ხარჯისა და ბეგარის თავი არა გვაქვსო. დასი შარშანაც მუშაობდა, მაგრამ არა გამოვიდა რაო. რაც წელს მირზაანში იყო, შარშან ბოდბისხევშიც მოხდა.

მთელი ქიზიყი შესდგება 13 საზოგადოებისგან, სადაც ირიცხება 22 სოფელი, 8049 კომლი, ანუ 40 000 სულზე მეტი. ქიზიყი საზოგადოდ მჭიდროდ არის დასახლებული ციცგომბორის მთაგრეხილის ფერდობებზე. სახნავ-სათესი და საძოვარი მინდვრები მდებარეობს ალაზნისა და ივრის ველებზე. სახნავ-საძოვარი კარგა მოშორებითაა. ადგილები მიზომილი აქვთ მეტად ვიწრო, ერთმანეთში არეულ ნაჭრებად. ეს საუკეთესო ადგილია მთელი კახეთისა. მოზრდილი, ნაყოფიერი და გამოსადეგი ყოველგვარ კულტურულ მეურნეობისთვის. მიწის სიუხვე და ნაყოფიერება გარეგნულად ამტკიცებს, რომ თითქო ხალხი მიწით უზრუნველი უნდა იყოს, მაგრამ სამწუხაროდ ასე არ არის. მცირეოდენი ნაწილის გარდა უმრავლესობა შემოდგომასა და ზამთარში მიემგზავრებიან სამუშაოდ ვენახებსა და რკინის გზებზედ. ამგვარ ანომალიურ მოვლენას ბევრი მიზეზი აქვს, უმთავრესი ისაა, რომ მიწა გლეხებს შორის უთანასწოროდაა განაწილებული. არ არის ნამდვილი მიჯნები, რის გამოც დაუსრულებელი დავაა ატეხილი, რაც ხშირად კაცის კვლითაც თავდება. ხშირია როცა ორი ერთმანეთისგან დაშორებული სოფლის მამული პირუკულმაა განაწილებული. აქ მიწათმფლობელობა მეტისმეტად გამოურკვეველია. არ მოიპოვება რომელიმე სოფელი, რომელსამე მამულზე არა დაობდეს. არის ისეც, ერთსა და იმავე მიწის ნაჭერს წელს სხვა სოფელი ამუშავებს, გაისად სხვა. 1900 წლის 12 ივნისის კანონი აქაც შემოიღეს, მაგრამ ამან ქიზიყელებს სარგებლის ნაცვლად ზარალი მოუტანა. მთელი ქიზიყი კანონამდე საკომლო და საერობო გადასახადს იხდიდა წელიწადში 97,748 მანეთს, ხოლო ახლა იხდის 149,951 მანეთს.

გადასახადთა გამწერ სამაზრო სამმართველოს უკანასკნელ ცნობებით, ქიზიყელთა ხმარება-სარგებლობაში არის 153,331 დესეტინა მამული. თვითო დესეტინაზე გადასახადი მოდის 98 კაპ. თვითეულ კომლს ხვდება 19 დესეტინა. ხოლო თვითეულ მამრობითი სქესის სულს $7^{1/3}$ დესეტინა. ეს ციფრები რომ სინამდვილის გამომხატველი იყოს, მაშინ ვერავინ იტყოდა, გლეხობას მძიმე გადასახადები აწევს, ან უსწორმასწოროდაა განაწილებული მიწაო. თითქმის ყველა სოფელი დავაშია. ყოველ შემოდგომა-გაზაფხულზე აუცილებელია შეტაკებები.

ზემო და ქვემო მაჩხაანს აქვს საერთო მიწები და მათი დავა დაუსრულებელია. სოფლებს მირზაანს, აბოშიკს და ცლუნკაანს (თავწყარო) აქვთ საერთო მიწები, ორი პირველი არა ჰგრძნობს მიწის ნაკლებობას, მაგრამ უკანასკნელი ცლუნკაანი, რომელშიაც 83 კომლი ირიცხება, თუმცა იხდის 2879 დესეტინასთვის 2572 მანეთს, მაგრამ ძლივს სარგებლობს 600 დესეტინით. ანაგლებმა იჩივლეს ჯუგაანელებზე, ამათ კი ოზაანელებზე. 1906 წელს ისე გამწვავდა ვითარება, ჯარიც მოიწვიეს. არ იკითხავთ, რა ძვირი უჯდება სოფლებს ამოდონა დავა-საჩივრები? 1905 წელს ერთი მოჰკლეს, 4 დაჭრეს, რამდენიმე დააპატიმრეს. ოდესღაც საკმაოდ შეძლებული და მასაზრდოვებელი მთელის კახეთისა და სხვა მეზობელ მაზრებისა ქიზიყი დღეს თითონ არის გაჭირვებული მიწაწყლის მოუწესრიგებლობა და მეტად სამძიმო გარდასახადები დღითი-დღე ასუსტებს და ათახსირებს ეკონომიურად გლეხობას.

1880 წელს გამოიკვლიეს გლეხთა ეკონომიური ყოფა. სიღნაღის მაზრის გლეხთა აღწერისამებრ საშუალო კატეგორიის გლეხს ჰქონდა წმინდა წლიური შემოსავალი 241 მან. ახლა კი ამგვარსავე კომლს ჰყავს მხოლოდ სამუშაო საქონელი და ძლივს აკმაყოფილებს საკუთარ მეურნეობას. ბევრია უსაქონლო გლეხი, რომელნიც მომეტებულად დღიურის მუშაობით სცხოვრობენ.

მიწის საერთო სარგებლობისათვის არსებობს ორგვარი წეს-ჩვეულება: დაჩემება-მითვისება და ხელახლად დაყოფვა. ეს წესი ეხლა თითქმის ყოველ სოფელშია მიღებული, მაგრამ მოიპოვება ისეთი ადგილები, სადაც დაჩემება-მითვისების ფორმა ჯერ არ გადავარდნილა. ამგვარი ფორმა მდგომარეობს გაქცევა–თარეშში. დანიშნულს დღეს დასახელებულს ადგილას იკრიბებიან გლეხნი, ცხენოსანნი და ქვევითნი. მწკრივდებიან რიგზედ, ისე კი, რომ ქვითნი უფრო წინა დგებიან, მიცემულ ნიშანზე ყველა გარბის გასაყოფ ადგილისაკენ. მთელი ხერხი და ცოდნა იმაშია, თუ ვინ მოასწრებს და დაიჩემებს საუკეთესო ადგილს. რაც შეეხება მიწების ხელახლა დაყოფას, ყველგან მოსდევს უთანხმოება და ბრძოლა შეუძლებელ გლეხთა შეძლებულებთან. პირველნი, რიცხვმრავალნი, ითხოვენ სამართლიან დაყოფის წეს-ჩვეულების დაკანონებას, ხოლო მეორენი, უმცირესნი, მათ ეწინააღმდეგებიან, შეუძლებელნი ითხოვენ იმ მიწების დაყოფასაც, რომელიც შეძლებულთა სარგებლობაში არიან მემკვიდრეობით. აი, სწორედ ამისთვის ეწინააღმდეგებიან მათ შეძლებული, რადგან მათთვის, როგორც უფრო ძლიერთათვის დაჩემება-მითვისების წესრიგი უფრო სასარგებლო და ხელსაყრელია. თითქმის ყველა სოფელშია აზნაურნი და სამღვდელოება, რომელნიც დაობენ რამდენსამე ათას დესეტინაზე. გადასახადს იხდიან 15-30 დესეტინაზე, მაგრამ ხაზინას ედავებიან ათასობით დესეტინას. მირზაანსა და ხირსაში არიან კერძო მემამულენი, ათასობით ცხვარი ჰყავთ ასობით ძროხა, ხვნა-თესვა აქვთ გაჩაღებული, მაგრამ გადასახადს 30 დესეტინაზე იხდიან. დანარჩენი გადასახადი კისერზე აწვება სოფლის მოსახლეობას, ღარიბ გლეხობას. მათ გარდა სოფელში ცხოვრობენ უცხო პირნიც, მოსულნი სხვა კუთხეებიდან. ისინიც საზოგადო მამულზე სცხოვრობენ, გადასახადს კი არ აძლევენ.

არათუ პირველად მნახველნი ქიზიყისა, არამედ ისინიც კი, რომელთაც დიდხანს უმსახურნიათ სიღნაღის მაზრაში და უცხოვრიათ, აქედან მიდიან იმ რწმენით, რომ ქიზიყი უზრუნველყოფილია, მდიდარიაო. ქვემო მაჩხაანის ბაზარი, ქიზიყის ეს შუაგული, თავის სივრცით და ქვითკირის შენობებთ ყველას ყურადღებას იქცევს, მაგრამ ამით არ გაიზომება გლეხთა კეთილდღეობა. ორმოცი ათას მცხოვრებს, შრომის-მოყვარეობითა და მხნეობით ცნობილ გლეხობას, ამაზე დიდი ვაჭრობა და აღებ-მიცემობა უნდა ჰქონდეს. ხელმოკლე ხალხი აქ უმრავლესობას შეადგენს. შეძლებულებად ირიცხება 8%.

ალ ჯორჯაძე,
1907 წ. გაზეთი „ისარი“

საუკუნის ამბები

ბუნება და ინტელექტი

ამერიკელი მეცნიერების მიერ რამდენიმე წლის განმავლობაში გულდასმით ჩატარებული ცდებით ირკვევა, რომ ინტელექტის სრულყოფა საჭირო და სასარგებლოა ბუნებაში – ჩვეულებრივი გასეირნება პარკში ან ტყეში სასარგებლოა გონებრივი პროცესებისათვის და უფრო სწრაფად ავითარებს შემეცნებით უნარს, ვიდრე ქალაქის პირობები.

მიჩიგანის უნივერსიტეტის ნეიროფსიქოლოგებმა ჩაატარეს ექსპერიმენტები ბუნებისა და ქალაქის გარემოს ადამიანის მახსოვრობასა და ყურადღების კონცენტრაციაზე ზემოქმედების შესამოწმებლად.

მოხალისეთა ჯგუფმა დასაწყისში შეასრულა გონებრივი მუშაობის გამოსავლენი ტესტი, შემდეგ გაემართა პარკში ფეხით გასასეირნებლად.

ლაბორატორიაში დაბრუნების მერე კვლავ ჩაუტარდათ ტესტირება.

მეორე ექსპერიმენტში კვლევის მონაწილეები არ გადიოდნენ სასეირნოდ, ხოლო ტესტებს ხსნიდნენ ბუნებისა და ქალაქის პეიზაჟების ფოტოსურათების დათვალიერების შემდეგ.

შედეგები საკმაოდ საინტერესო აღმოჩნდა:

1)პირველ ექსპერიმენტში, პარკში გასეირნება, მნიშვნელოვნად აუმჯობესებდა გონებრივ მუშაობას და ყურადღების კონცენტრაციას ტესტების შესრულების დროს.

2)მეორე ექსპერიმენტში ადამიანები, რომლებიც უყურებდნენ ბუნების გამოხატულებას, ასევე უფრო სწრაფად და წარმატებით ართმევდნენ თავს დავალებას, ვიდრე ქალაქის ფოტოების დათვალიერებისას.

ნეიროფსიქოლოგთა განმარტებით, ქალაქის გარემო ტვინს აწვდის სტიმულირების საკმაოდ რთულ და არაიშვიათად ჩახლართულ სქემას, რომელიც საჭიროებს ძალისხმევას მათი დაწყობისა და სწორი ინტერპრეტირებისათვის.

3) ბუნება კი, პირიქით, შეიცავს სტიმულაციის უფრო თანმიმდევრულ და ესთეტიკურ სქემებს.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იგი იდეალური გარემოა მშვიდი და მწყობრი განსჯისათვის.

ბესიკ გიგოლაშვილი
ფსიქოლოგი

„სოფლის ნობათის“ რძის ნიმუშებში აფლატოქსინი გამოვლინდა

/დასაწყისი გვ.6/

ორსულების ორგანიზმში ტოქსინის მოხვედრამ შეიძლება გამოიწვიოს ნაყოფის განვითარების შეფერხება, ხოლო მეძუძური დედის შემთხვევაში ტოქსინი შეიძლება დედის რძეში მოხვდეს და ბავშვის ჯანმრთელობის რისკი შექმნას. ამიტომ შესაბამისი უწყებები პერიოდულად აკონტროლებენ ამ ტოქსინის შემცველობას საკვებში. ექსპოზიციის შემთხვევაში მკურნალობა სიმპტომურია და პერიოდულად საჭიროებს ღვიძლის ჯანმრთელობის კონტროლს. საოჯახო პირობებში პრევენციის მეთოდია საკვების შესაფერის გარემოში შენახვა (მშრალ გარემოში) და ობის ან უჩვეულო სუნის შემჩნევისას საკვების გადაყრა/არგამოყენება“– წერს მაია ბუწაშვილი.

ამის პარალელურად, ტელეკომპანია იმედმა გაავრცელა პედიატრ თემურ მიქელაძის კომენტარი. მისი თქმით, მსგავსი შემთხვევები ხდება ყველა ქვეყანაში, მთავარია სწორი და დროული რეაგირება. **„მსგავსი შემთხვევები ხდება ყველა ქვეყანაში, მთავარია სწორი და დროული რეაგირება. ვიმედოვნებ, სურსათის უვნებლობის სამსახური კეთილსინდისიერად გააგრძელებს თავის საქმიანობას და მომავალშიც აღმოფხვრის მსგავს პრობლემებს“**, - წერს პედიატრი თემურ მიქელაძე სოციალურ ქსელში.

ფაქტს თავად „სოფლის ნობათიც“ გამოეხმაურა. მათ მიერ გავრცელებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ გაყიდვიდან იღებენ მათი პარტნიორების მიერ აზერბაიჯანში წარმოებული რძის მცირე პარტიას (UHT რძე) და აღნიშნავენ, რომ მოცემული პროდუქტი მომხმარებლისთვის საფრთხეს არ წარმოადგეს.

*„ჩვენთვის, **PepsiCo**-ში, არაფერია იმაზე უფრო მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული, ვიდრე ჩვენი მომხმარებლებისთვის უსაფრთხო და ხარისხიანი პროდუქციის მიწოდება. სწორედ ამიტომ, განცხადების გარეშე ვერ დავტოვებთ დღეს სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებულ ბრძანებას, რომლის მიხედვითაც გაყიდვიდან ვიღებთ ჩვენი პარტნიორების მიერ აზერბაიჯანში წარმოებული რძის მცირე პარტიას (UHT რძე). გვინდა აღვნიშნოთ, რომ მოცემული პროდუქტი მომხმარებლისთვის საფრთხეს არ წარმოადგეს, თუმცა, სააგენტოს დადგენილებით, არსებობს ვარაუდი, რომ იგი შესაძლოა ზოგიერთ ადგილობრივ მოთხოვნას არ აკმაყოფილებდეს.*

მოთხოვნების ტექნიკურ დეტალებში შეუთანხმებლობისა და გაურკვევლობის აღმოსაფხვრელად, ჩვენ აქტიურ დიალოგს ვაწარმოებთ შესაბამის ორგანოებთან, რათა ყველაფერი უფრო ცხადი და გასაგები გახდეს. მაქსიმალური უსაფრთხოებისთვის, რძის აღნიშნული პარტია უახლოეს საათებში სრულად იქნება ამოღებული გაყიდვიდან. ამასთან, ჩვენ ვწყვეტთ თანამშრომლობას ზემოხსენებულ აზერბაიჯანელ პარტნიორთანაც მანამ, სანამ ყველა ტექნიკური დეტალი არ დაზუსტდება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ ეს რეგულაცია ვრცელდება მხოლოდ აზერბაიჯანში წარმოებული ულტრაპასტერიზებული რძის მცირე რაოდენობაზე და არანაირად არ მოქმედებს სოფლის ნობათის ქართულ საწარმოში დამზადებულ პროდუქტებზე. ჩვენი პროდუქცია აკმაყოფილებს ხარისხისა და სურსათის უვნებლობის ყველა მოთხოვნას და სრულადაა მორგებული მკაცრ საერთაშორისო სტანდარტებს.

ბოდიშს გიხდით შექმნილი გაუგებრობისთვის და გპირდებით, რომ ყველაფერს ეფექტურად და საფუძვლიანად გამოვიძიებთ“, - ნათქვამია სოფლის ნობათის მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ერთი კადრი წარსულიდან

1990 წელი, ქალაქ წითელწყაროს მთავარი პროსპექტი. 9 აპრილის წლისთავზე ყველაზე ხალხმრავალი აქცია შედგა წითელწყაროში. რუსთაველზე დაღუპულ მომიტინგეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად წითელწყაროში გაიხსნა მემორიალი და 9 აპრილის მუზეუმი.

ნათელა ბილიაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ჩვენი შვილის ნათლია, საუკეთესო მეგობარი, **თამრიკო მეხრიშვილი** და სამძიმარს უცხადებს მის კეთილ ნათესავებსა და ახლობლებს.

„გაავრცელე სითბო“- აჩუქე ღიმილი უანგაროდ

2025 წლის 8 მარტს, „გაავრცელე სითბოს“ საქველმოქმედო ინიციატივის ფარგლებში, ზემო მაჩხაანის მოხალისე ლიდერმა ლიზი ქევხიშვილმა და ამავე კლუბის მოხალისეებმა მაჩხაანის მოსახლეობას ქალთა დღე მიულოცეს და საჩუქრად თავიანთი ხელით დამზადებული ყვავილები გადასცეს, რათა მათთვის სიყვარულითა და პატივისცემით გაეფერადებინათ ეს დღე.

ზემო მაჩხაანის კლუბის ლიდერი ლიზი ქევხიშვილი ასეთ კომენტარს აკეთებს:

„ყოველი ყვავილი, რომელიც დავარიგეთ, იყო მადლიერების სიმბოლო იმ ქალებისთვის, რომლებიც ყოველდღიურად გვაძლიერებენ - დედებისთვის, ბებიებისთვის, მასწავლებლებისთვის და იმ ქალებისთვის, რომელთა ძალა და თავდადება ჩვენს საზოგადოებას ანათებს“.

„აქტივობამ საინტერესოდ და სასიამოვნოდ ჩაიარა, რისთვისაც განსაკუთრებული მადლობა გვინდა გადავუხადოთ ზემო მაჩხაანის მოხალისეებს. ინიციატივაში ჩართულ მოხალისეთა რიცხვი დღითიდღე იზრდება, რაც ძალიან გვახარებს. თუ გსურს, რომ შემოგვიერთდე მოგვწერე. თვალი ადევნეთ ჩვენს გვერდს. წინ ბევრი სიახლე და საინტერესო აქტივობა გელით“ - აღნიშნულია „გაავრცელე სითბოს“ ფეისბუქ გვერდზე.

დამატებითი ინფორმაციისთვის გაზეთი „შირაქი“, მოხალისე ლიდერს, ჯგუფ „გაავრცელე სითბოს“ ხელმძღვანელს **ლიზი ქევხიშვილს** დაუკავშირდა: „გაავცელე სითბო“ 2019 წლიდან არსებობს. მისი დაარსების იდეა ნანუკა მესტვირიშვილს გაუჩნდა, რომელმაც გარდა თბილისისა, რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდებიც შემოიკრიბა სიკეთის კეთების საქმეში. ზემო მაჩხაანის ჯგუფის ხელმძღვანელი იყო თაკო ბენაშვილი, მისი წასვლის შემდეგ კი მე ვაგრძელებ ჯგუფის საქმიანობას. ჩვენი მიზანია, ხარისხიანად და უკეთესად წარმოვაჩინოთ ჩვენი, როგორც ახალგაზრდების როლის საზოგადოებაში. ყველა შეამჩნევდა, რომ ადამიანები ერთმანეთის მიმართ თითქოს „გაცივდნენ“, გაქრა თანადგომის უნარი. გვსურს, სიკეთის კეთებით სწორედ ეს „გაციება“ გავათბოთ და თუნდაც, ერთი გაღიმებული სახე მაინც დავინახოთ. მარტის აქციაც, რომელიც ჩვენი თანასოფლელი ქალების ხელნაკეთი ყვავილებით გახარებას მოიცავდა, ამის ნათელი მაგალითია. „გაავრცელე სითბოში“ ამჟამად 21 აქტიური მოხალისეა და მათი რიცხვი ყოველდღე იზრდება. გასული წლის სექტემბრიდან დღემდე, ბუნების დაცვის, სოციალური, კულტურული თუ სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული გვაქვს 7-მდე აქტივობა და აპრილის თვეშიც აქტიურად ვგეგმავთ სხვადასხვა თარიღთან გამოხმაურებას“- აღნიშნა მან გაზეთთან საუბარში.



შეგახსენებთ, რომ საქველმოქმედო ჯგუფი „გაავრცელე სითბო“ სიკეთის გარშემო ადამიანებს საერთო მისიით აერთიანებს. მათ არაერთი საქველმოქმედო ღონისძიება აქვთ ჩატარებული და მომავალშიც აქტიურად გეგმავენ სხვადასხვა ტიპის აქტივობის გამართვას. გაზეთი „შირაქი“ წარმატებას უსურვებს მათ მომავალ საქმიანობაში.

✍ ჟუჟუნა ყანჩაშვილი

კიკბოქსინგის დარბაზი აშენდა

ქ. დედოფლისწყაროში კიკ ბოქსინგის დარბაზის მშენებლობა დასრულდა. ინფრასტრუქტურული პროექტი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა მოადგილესთან, გელა სამუკაშვილთან, მერიის ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან, სოლომონ ღორაშვილთან , ა(ა)იპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელთან, დოდო ხუნაშვილთან და კიკბოქსინგის მწვრთნელ თამაზ ყარაგვეზაშვილთან ერთად მოინახულა.

ახალი, თანამედროვე სტანდარტების სპორტული დარბაზი 26 მაისს, საქართველოს ეროვნული დამოუკიდებლობის დღეს გაიხსნება.

ინფრასტრუქტურული პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან დაფინანსდა და მისმა ღირებულებამ 1 258 311 ლარი შეადგინა.

„ცენტრალური სტადიონის ტერიტორიაზე შენებლობა უკვე დასრულდა და ძალიან მალე მის აღჭურვას დავიწყებთ. ადგილობრივი კიკბოქსინგელების დიდი ოცნება უკვე ავასრულეთ და თქვენ ხედავთ უკვე დასრულებულ დარბაზს. სავარაუდოდ, 26 მაისისთვის ჩვენ საზეიმოდ გავხსნით კიკბოქსინგის ახალ დარბაზს, სადაც კიდევ მრავალი თაობა გაიზრდება. სამ ათწლეულზე მეტია ამ კიკბოქსინგელებს თამაზ ყარაგვეზაშვილი ზრდიდა და მათ არ ჰქონდათ საკუთარი სივრცე. ამის მიუხედავად, მათი მუშაობა ყოველთვის წარმატებული იყო,“ – აღნიშნავს ნიკოლოზ ჯანიაშვილი.

„თანამედროვე სტანდარტების დარბაზის გახსნის შემდეგ აუცილებლად გვეყოლება მსოფლიო ჩემპიონი კიკბოქსინგში. ძალებს არ დავზოგავთ, რომ სათანადოდ მოვემზადოთ და შედეგი ვაჩვენოთ,“ – აღნიშნავს გუნდი „ჩემპიონის“ მთავარი მწვრთნელი თამაზ ყარაგვეზაშვილი.

ნიკოლოზ ცხვედიაშვილის წარმატება მკლავჭიდში

29-30 მარტს მკლავჭიდში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე, დედოფლისწყაროს სოფელ ზემო მაჩხაანში მცხოვრებმა, ნიკოლოზ ცხვედიაშვილმა, გამარჯვება მოიპოვა. მან მარცხენა ხელით დაამარცხა მსოფლიო პრიზიორი და ევროპის მოქმედი ჩემპიონი ოთარ საგინაშვილი. ჩემპიონატი მკლავჭიდის ფედერაციის მიერ იყო ორგანიზებული. მასში ასამდე სპორტსმენი მონაწილეობდა.

ზემო მაჩხაანის სკოლის XI-ე კლასის მოსწავლე ნიკოლოზ ცხვედიაშვილი 18 წლამდელებში, 65 კილოგრამ წონით კატეგორიაში ასპარეზობს და წარმატებებიც აქვს. როგორც მკლავჭიდელმა გაზეთ „შირაქს“ განუცხადა, ის სულ რამდენიმე თვეა ვარჯიშობს.

ნიკოლოზ ცხვედიაშვილი: „თავდაპირველად მაჩხაანში ვვარჯიშობდი, მაგრამ იქ სპეციალური მაგიდა არ გვქონდა, ამიტომ არბოშიკის დარბაზში დავდიოდი. ცოტა ხანს გიორგი ალადაშვილი მამეცადინებდა. შემდეგ დედაქალაქში გადავედი და 6 თვეა თბილისის „მკლავჭიდის აკადემიაში“ ვემზადები. მყავს პირადი მწვრთნელი გოჩა სიჭინავა. იქ უფრო მეტი მოტივაცია და პირობებია საიმისოდ, რომ განვითარება და წარმატებების მიღწევა შევძლო. ამ ხნის განმავლობაში 6 ჯერ ვიბრძოლე და არცერთხელ არ დავმარცხებულვარ. მათ შორის იყო დედოფლისწყაროს პირველობაც, სადაც პირველი ადგილი დავიკავე. ჩემი კუმირია ქართველი მებრძოლი ირაკლი ზირაქაშვილი. რაც შეეხება ჩემს გეგმებს, მინდა მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ბრძოლა მოვიგო, სექტემბერში იგეგმება და უნდა მოვემზადო. ასევე, სურვილი მაქვს, ევროპისა და მსოფლიო ჩემპიონობას მივაღწიო. ამას გარდა, მკლავჭიდში ყველაზე ტიტულოვან ტურნირად ითვლება „ისთ ენდ ვესთი“ და ძალიან მინდა აქ მოვხვდე და შესაძლებლობები მოვსინჯო“.

✍ ილია მარტყოფლიშვილი

ი ყ ი დ ე ბ ა

დედოფლისწყაროში კერძო აგურის სახლი 170 კვ.მ, ბელეტაჟზე. მეტალოკრამიტის გადახურვით, მეტალოპლასტმასის ფანჯრებით. სამზარეულო, აბაზანა-ტუალეტი შიგნით და კაფელ-მეტლახით გაკეთებული, ჭერზე „გიფსოკარდონებით“, გათბობით, ცივი და ცხელი წყლით. ყველაფერი ახალი გარემონტებული. ეზო 800 კვ.მ ხეხილით, რკინის კარით. ფასი შეთანხმებით ტელ: 595 32 47 61

ა მ ი ნ დ ი

დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

ორშაბათი 07.04		სამშაბათი 08.04		ოთხშაბათი 09.04		ხუთშაბათი 10.12		პარასკევი 11.04		შაბათი 12.04		კვირა 13.04	
დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე	დღე	ღამე
22 °	10 °	23 °	10 °	22 °	10 °	21 °	7°	14 °	4 °	15°	4 °	17 °	6 °

გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი **ინგა შიოლაშვილი**
რედაქტორი **ილია მარტყოფლიშვილი**
მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი, ელზა ხარაშვილი (ჟურნალისტები); ხათუნა ბენაშვილი (კორექტორი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანიაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (საქმის მწარმოებელი).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება გამომცემლობა „ლაბ კოლორი“-ს სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18,
☎ 0 356 22 22-85;
598 72-18-72 (დირექტორი)
593 275-275 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.
გაზეთის გამოწერა წელიწადში – 20 ლარი